თებებში არაა აღნიშნული რეკომენდირებული ფაქტორების გამოყენების შესაძლებლობაზე სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და მართვის სხვადასხვა დონეზე და არც პრაქტიკული რეკომენდაციებია მოცემული მათი (ფაქტორების) გავლენის განსაზღვრისა და ფონდუქუვების დონეზე.

ძეუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო საეგემო კომიტეტის მიერ რეკომენდირებული ფონდუქუვების ფაქტორების კლასიფიკაცია აუცილებელია სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის, ჩვენი აზრით, არაა გამორიცხული მოცემული კლასიფიკაციის შემდგომი დახუსტების შესაძლებლობა ამა თუ იმ დარგისა და წარმოების თავისებურებებიდან გამომდინარე, რამდენადაც შეუძლებელია ფაქტორების ერთიანი სისტემის არსებობა (ფაქტორების უნივერსალური კლასიფიკაციის), რომელიც ერთნაირად იქნება გამოსადეგი სახალხო მეურნეობის ყველა დარგისა და საწარმოო პროცესის ყველა რგოლისათვის. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ფონდუქუვების ფაქტორების კლასიფიკაცია, მათი დეტალიზაცია დამოკიდებულია ანალიზის მიზანზე და იმაზე, თუ სახალხო მეურნეობის მართვის რა დონეზე სწარმოებს ანალიზი.

ცალკეულ საწარმოთა დონეზე ფონდუქუვების ანალიზის დროს შეუძლებელია გავითვალისწინოთ ყველა ის ფაქტორი, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ფონდუქუვების მაჩვენებლის ფორმირებაზე. ამიტომ, შავ მეტალურგიაში ძირითადი ფონდების გამოყენების ანალიზის დარგობრივი მეთოდის შემუშავებისას, ჩვენ შევეცადეთ შეგვეჩინა ისეთი ფაქტორები, რომლებიც გადაწყვეტ გავლენას ახდენენ ფონდუქუვების მაჩვენებელზე და რომელთა ანალიზიც მისი ზრდის რეზერვების გამოვლენის საშუალებას იძლევა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შავი მეტალურგიის საწარმოებში ძირითადი ფონდების გამოყენების ანალიზის დროს შიგასაწარმოო რეზერვების სრული გამოვლენის მიზნით, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია გაანალიზებულ იქნეს ფაქტორთა შემდეგი ჯგუფი: ძირითადი ფონდების აქტიური ნაწილის ზედრითი წილის ცვლილება, ახალი ძირითადი ფონდების მოქმედებაში შეყვანა, ძირითადი ფონდების განახლება, ძირითადი ფონდების ექსპლოატაციიდან გასვლა, მიმდინარე მოცდენების სიდიდის ცვლილება, ძირითადი ფონდების რემონტების ჩატარების ხანგრძლივობის ცვლილება და მათი ხარისხი, წარმოების პროცესების შექანიზაცია და ავტომატიზაცია, ტექნოლოგიის სრულყოფა და წარმოების პროცესების ინტენსიფიკაცია, პროდუქციის ხარისხის ცვლილება, წუნდებული პროდუქციის ზედრითი წილის ცვლილება, გადასამუშავებელი ნედლეულის ხარისხი და სხვა.\*

დასახელებულ ფაქტორთა ანალიზი საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ ფონდუქუვების ზრდის შიგასაწარმოო რეზერვები და დავსაზოთ ღონისძიებანი მათი რეალიზაციისათვის.

ძირითადი ფონდების შემადგენლობაში სტრუქტურული ცვლილებები ობიექტურად კანონზომიერი პროცესია, რომელიც განპირობებულია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებით. ძირითადი ფონდების სტრუქტურის სრულყოფა ნაკარანხეგია იმით, რომ ფონდების აქტიური ნაწილი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ფონდუქუვების დონეზე და აქედან გამომდინარე, წარმოადგენს წარმოების ზრდის უმნიშვნელოვანეს რეზერვს. ამიტომ,

\* ვთავაზობთ რა ფონდუქუვების ფაქტორების კლასიფიკაციის, ჩვენ დასაშვებად მიგვაჩნია მათი შემდგომი დეტალიზაცია ანალიზის მიზნიდან გამომდინარე.



სტრუქტურული ცვლილების გავლენის განსაზღვრას ფონდუკუგების დონეზე დიდი ყურადღება ექცევა. აღნიშნული ფაქტორის გავლენა ფონდუკუგების ცვლილებაზე მიზანშეწონილია განისაზღვროს შემდეგი ფორმულით:

$$\Delta_{ფ} = ფ^0 \left( 1 - \frac{b_1^0}{b_1^1} \right), \quad (1)$$

სადაც  $\Delta_{ფ}$  — ფონდუკუგების ცვლილება ძირითადი ფონდების აქტიური ნაწილის ხვედრი წილის ცვლილების ხარჯზე.

$ფ^0$  — ფონდუკუგება საბაზისო პერიოდისათვის მან. კაპ.

$b_1^1$  და  $b_1^0$  — ძირითადი ფონდების აქტიური ნაწილის ხვედრიწილი მათ საერთო ღირებულებაში შესაბამისად საანგარიშგებო და საბაზისო წელს.

როგორც ცნობილია, ფონდუკუგების მაქსიმალური დონის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მიღწეულია ოპტიმალური თანაფარდობა ძირითადი ფონდების აქტიურ და პასიურ ნაწილებს შორის. აქედან გამომდინარე, ფონდუკუგების ზრდის რეზერვი შეიძლება გაანგარიშებული იქნეს შემდეგი ფორმულით:

$$\Delta_{ფ.რ} = ფ^1 \cdot \left( 1 - \frac{b_2^1}{b_{2,ოპ.}} \right), \quad (2)$$

სადაც  $ფ^1$  — ფონდუკუგება საანგაროშო პერიოდისათვის მან. კაპ.

$ფ_{2,ოპ.}^1$  — აქტიური ძირითადი ფონდების ოპტიმალური ხვედრიწილი მათ საერთო ღირებულებაში.

წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს ახალი ძირითადი ფონდების მოქმედებაში შეყვანა, რაც დაკავშირებულია ტექნიკური პროგრესის განვითარებასთან, ახალი ტექნოლოგიური პროცესის დანერგვასთან და სხვა. ყოველივე ეს იწვევს მოქმედი ძირითადი ფონდების მოცულობის ზრდას, რაც გარკვეულ გავლენას ახდენს ფონდუკუგების დონეზე. პრაქტიკაში, ახალი ძირითადი ფონდების მოქმედებაში შეყვანის გავლენას ფონდუკუგებაზე ანგარიშობენ შემდეგ ფორმულით:

$$\Delta_{ფ^2} = \frac{\Delta_{პ_2} - ფ^0 \cdot d_{ფ_2}}{d_{ფ^1}}, \quad (3)$$

სადაც  $\Delta_{პ_2}$  — დამატებითი პროდუქცია გამოშვებული ექსპლოატაციაში გადაცემული ახალი ძირითადი ფონდების ხარჯზე ათ. მან.

$d_{ფ_2}$  — ახალი ძირითადი ფონდების საშუალო წლიური ღირებულება ათ. მან.

$d_{ფ^1}$  — ძირითადი საწარმოო ფონდების საშუალოწლიური ღირებულება საანგარიშო პერიოდში ათ. მან.

როგორც ცნობილია, ძველი ფონდების შეცვლა ახლით იწვევს საწარმოთა მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებას. ამრიგად, ძირითადი ფონდების განახლება ხელს უწყობს მათი გამოყენების გაუმჯობესებას და დადებითად მოქმედებს ფონდუკუგების მაჩვენებელზე.

ფონდუკუგების ცვლილება აღნიშნული ფაქტორის გავლენით შეიძლება განისაზღვროს შემდეგი ფორმულით:

$$\Delta_{ფ_3} = \frac{\sum^0 (b_3^2 - b_3^1) - ფ^0 (d_{ფ_3} - d_{ფ_2})}{d_{ფ^1}}, \quad (4)$$

სადაც  $\beta^0$  — გამოშვებული პროდუქტის საბაზისო პერიოდისათვის ათ. მან.

$\beta^1$  და  $\beta^2$  — ახალ და ექსპლოატაციიდან გასულ ძირითად ფონდებზე წარმოებული პროდუქტის ხვედრიწილი პროდუქტის საერთო მოცულობაში საბაზისო პერიოდში.

$\delta_{\beta}$  და  $\delta_{\beta\alpha}$  — ახალ და ექსპლოატაციიდან გასული ძირითადი ფონდების საშუალოწლიური ღირებულება ათ. მან.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული ფორმულით (4) შეიძლება განისაზღვროს ძირითადი ფონდების განახლების გავლენა ფონდუკუგების ცვლილებაზე მხოლოდ იმ მეტალურგიული აგრეგატების მიხედვით, რომლებზეც უშუალოდ ხდება პროდუქტის წარმოება და რომელთა მოქმედებაში შეყვანა ხდება მოძველებული მეტალურგიული აგრეგატების სანაცვლოდ.

საწარმოს საბაზისო პერიოდის ფონდუკუგება შეიძლება გამოვსახოთ ფორმულით:

$$\varphi^0 = \frac{\beta^0}{\delta_{\beta}^0} = \frac{\varphi^0 \cdot \beta_{\beta}^0 \cdot \beta_{\alpha}^0}{\beta_{\beta\alpha}^0}, \quad (5)$$

სადაც  $\beta_{\beta}^0$  — ძირითადი ფონდების განახლების კოეფიციენტი საბაზისო პერიოდში.  
 $\beta_{\alpha}^0$  — ძირითადი ფონდების ინტენსიური განახლების კოეფიციენტი საბაზისო პერიოდში.

$\beta_{\beta\alpha}^0$  — ძირითადი ფონდების ექსპლოატაციიდან გასვლის კოეფიციენტი საბაზისო პერიოდში.

აქედან გამომდინარე, შეიძლება გავინაგარიშოთ ძირითადი ფონდების განახლების გავლენა ფონდუკუგების ცვლილებაზე განახლების კოეფიციენტის ცვლილების საფუძველზე შემდეგი ფორმულით:

$$\Delta_{\varphi_{\beta}} = \frac{\varphi^0 (\beta_{\beta}^1 - \beta_{\beta}^0) \cdot \beta_{\alpha}^0 - \varphi^0 \cdot \beta_{\beta\alpha}^0 \cdot \beta_{\alpha}^0}{\beta_{\beta\alpha}^0}, \quad (6)$$

სადაც  $\beta_{\beta}^1$  — ძირითადი ფონდების განახლების კოეფიციენტი საანგარიშო პერიოდში.

$\beta_{\beta\alpha}^0$  — ძირითადი ფონდების ღირებულების ზრდის კოეფიციენტი.

ცნობილია, რომ ძირითადი ფონდების ექსპლოატაციიდან გასვლა დაკავშირებულია მათ ფიზიკურ და მორალურ ცვეთასთან. ძირითადი ფონდების მოძრაობის ეს პროცესი ფონდუკუგების დონეზე მოქმედებს როგორც დადებითად, ისე უარყოფითად. დადებითად მოქმედებს იმ მხრივ, რომ ძირითადი ფონდების ექსპლოატაციიდან გასვლით მცირდება მათი საშუალოწლიური ღირებულება, რაც შესაბამისად ზრდის ფონდუკუგების დონეს და უარყოფითად მოქმედებს იმ მხრივ, რომ ექსპლოატაციიდან გასვლით მცირდება პროდუქტის წარმოების მოცულობა (მხედველობაში გვაქვს ის ძირითადი ფონდები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ პროდუქტის წარმოებაში), რაც იწვევს ფონდუკუგების შემცირებას. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ფაქტორის გავლენა ფონდუკუგების დონეზე მიზანშეწონილია განისაზღვროს შემდეგი ფორმულით:

$$\Delta_{\varphi_{\beta\alpha}} = \frac{\beta_{\alpha}^1 \cdot \beta_{\beta\alpha}^0}{\delta_{\beta}^0 - \delta_{\beta\alpha}^0} - \varphi^0 \cdot \beta_{\beta\alpha}^0, \quad (7)$$



სადაც  $\Delta_{3a}^1$  — გამომუშავებული პროდუქციის მოცულობა ახალი ძირითადი ფონდების გარეშე საანგარიშო პერიოდში ათ. მან.

$\Delta_{3a, 4a}$  — საანგარიშო პერიოდში ექსპლოატაციიდან გასული ძირითადი ფონდების საშუალო წლიური ღირებულების ხვედრიწილი საბაზისო პერიოდის მთელი ძირითადი ფონდების საშუალო წლიურ ღირებულებაში.

$\Delta_{3a}$  — ექსპლოატაციიდან გასული ძირითადი ფონდების საშუალოწლიური ღირებულება.

შავი მეტალურგიის საწარმოებში საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ძირითადი მეტალურგიული აგრეგატების მიმდინარე მოცდენების შემცირებას, რადგან მათ მოცულობაზეა დამოკიდებული ძირითადი ფონდების ექსტენსიური გამოყენების მაჩვენებლის დონე. ამიტომ, ფონდუკუგების დონეზე უარყოფითად მოქმედებს მეტალურგიული აგრეგატების არა მარტო ზეგვეგპიური მოცდენები, არამედ მიმდინარე მოცდენები საერთოდ. მათი შემცირება პირდაპირპროპორციულია ფონდუკუგების შემდგომი ზრდისა და მის უშუალო რეზერვს წარმოადგენს.

მიმდინარე მოცდენების გავლენა ფონდუკუგების დონეზე შეიძლება განისაზღვროს შემდეგი ფორმულით:

$$\Delta_{\text{ფ}_{3a}} = \frac{\Delta^0(\Delta_{\text{ც}^0} - \Delta_{\text{ც}^1}) \cdot \Delta_{3a}}{\Delta_{\text{ფ}^1} \cdot \Delta_{\text{ფ}^0}}, \quad (8)$$

სადაც  $\Delta_{\text{ც}^1}$  და  $\Delta_{\text{ც}^0}$  — მეტალურგიული აგრეგატების მიმდინარე მოცდენები საანგარიშო და საბაზისო პერიოდში დღ.

$\Delta_{\text{ფ}^0}$  — მეტალურგიული აგრეგატების მუშაობის ფაქტიური დრო საბაზისო პერიოდში დღ.

$\Delta_{3a}$  — მეტალურგიული წარმოების თითოეულ ეტაპზე სასაქონლო პროდუქციის ხვედრიწილი ქარხნის მთელი სასაქონლო პროდუქციის მოცულობაში.

ფონდუკუგების ზრდის რეზერვი აღნიშნული ფაქტორის მიხედვით შეიძლება გავიანგარიშოთ შემდეგი ფორმულით:

$$\Delta_{\text{ფ}_{3a}} = \frac{\Delta^1(\Delta_{\text{ფ}^1} - \Delta_{\text{ც}^5}) \cdot \Delta_{3a}}{\Delta_{\text{ფ}^1} \cdot \Delta_{\text{ფ}^1}}, \quad (9)$$

სადაც  $\Delta_{\text{ც}^1}$  და  $\Delta_{\text{ც}^5}$  — მეტალურგიული აგრეგატების მიმდინარე მოცდენები საანგარიშო პერიოდში ფაქტიურად და ნორმატივის მიხედვით, დღ.

$\Delta_{\text{ფ}^1}$  — მეტალურგიული აგრეგატების მუშაობის ფაქტიური დრო საანგარიშო პერიოდში, დღ.

როგორც ცნობილია, მეტალურგიული წარმოების ყოველი ციკლი მკიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან, ამიტომ ერთი აგრეგატის მოცდენა იწვევს შესაბამის დროს დანაკარგებს სხვა უბანზე. ასეთ შემთხვევაში, ძირითადი ფონდების გამოყენების გაუმჯობესება დროში მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ჩატარებული კაპიტალური რემონტის ხარისხზე და მისი ჩატარების ხანგრძლივობაზე, რადგან მეტალურგიული აგრეგატების მოცდენების უდიდესი ნაწილი დაკავშირებულია მათ რემონტებთან. ამიტომ, მეტალურგიული აგრეგა-





ტების რემონტზე დროის დანახარჯების შემცირება და მისი ხარისხის ამაღლება ფონდუკუების ზრდის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

ფონდუკუების ცვლილება ჩატარებული რემონტის ხანგრძლიობის ცვლილებების ხარჯზე შეიძლება გავიანგარიშოთ შემდეგი ფორმულით:

$$\Delta_{ფრ} = \frac{\nabla^0 \cdot \text{სფ}^0 (r_3^0 - r_1^0) \cdot \text{ხ}_3}{\text{დფ}^1}, \quad (10)$$

სადაც  $\nabla^0$  — მეტალურგიული აგრეგატების საშუალოდღიური მწარმოებლურობა საბაზისო პერიოდში, ტ.

$\text{სფ}^0$  — ერთეული პროდუქციის საშუალოშეწონილი ფასი საბაზისო პერიოდში, მან.

$r_3^0; r_1^0$  — რემონტების ხანგრძლიობა დღეებში შესაბამისად საანგარიშო და საბაზისო პერიოდში.

აღნიშნული ფაქტორის ხარჯზე ფონდუკუების მოსალოდნელი ზრდის რეზერვი შეიძლება გავიანგარიშოთ შემდეგი ფორმულით:

$$\Delta_{ფრ} = \frac{\nabla^1 \cdot \text{სფ}^1 (r_3^1 - r_1^1) \cdot \text{ხ}_3}{\text{დფ}^1}, \quad (11)$$

სადაც  $\nabla_3^1$  — რემონტის ჩატარების ნორმატიული ხანგრძლიობა დღეებში.

ზემოთ განხილული ფაქტორები უშუალო ზეგავლენას ახდენენ ძირითადი ფონდების ექსტენსიური გამოყენების დონეზე, რომლის ცვლილების გავლენაც ფონდუკუების მაჩვენებელზე გავიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$\Delta_{ფმ} = \frac{\sum_{i=1}^n \nabla^0 \cdot \text{სფ}^0 (\text{დფ}_i^1 - \text{დფ}_i^0) \cdot \text{ხ}_3^0}{\text{დფ}^1}, \quad (12)$$

სადაც  $\text{დფ}_i^1$  და  $\text{დფ}_i^0$  — მეტალურგიული აგრეგატების მუშაობის ფაქტიური დრო შესაბამისად საანგარიშო და საბაზისო პერიოდში.

$n$  — ძირითადი მეტალურგიული აგრეგატების რიცხვი.

ფონდუკუების ზრდის მოსალოდნელი რეზერვი მეტალურგიული აგრეგატების ექსტენსიური გამოყენების გაუმჯობესების ხარჯზე შეიძლება გავიანგარიშოთ შემდეგი ფორმულით:

$$\Delta_{ფმ.რ.} = \frac{\sum_{i=1}^n \nabla^1 \cdot \text{სფ}^1 (\text{დფ}_i^1 - \text{დფ}_i^0) \cdot \text{ხ}_3^1}{\text{დფ}^1}, \quad (13)$$

სადაც  $\text{დფ}_i^1$  — მეტალურგიული აგრეგატების მუშაობის დროის ნორმატიული ფონდი, დღ.

ფონდუკუებაზე მოქმედ ინტენსიურ ფაქტორთა შორის განსაკუთრებული როლი განეკუთვნება წარმოების პროცესების მექანიზაციას და ავტომატიზაციას, რამდენადაც წარმოების ინტენსიფიკაციის პირობებში წარმოების პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია ხელს უწყობს პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდას, შრომის ნაყოფიერების ზრდასა და მოწყობილობათა მაქსიმალურად გამოყენების ხარჯზე. უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედი

ფაქტორის გავლენის განსაზღვრა ფონდუკუგების დონეზე (მეტალურგიული აგრეგატების მწარმოებლურობის გადიდების გათვალისწინებით) შესაძლებელია მხოლოდ ძირითადი ფონდების გამოყენების აღრიცხვის გაუმჯობესების ხარჯზე შემდეგი ფორმულით:

$$\Delta_{ა.გ.} = \frac{\sum_{i=1}^n [(დ - ლა) \cdot ჩ^1 \cdot \nabla^0 \cdot სფ^1 - ფ^0 \cdot \Delta d_{ფ.გ.}] \cdot ხ_3}{d_{ფ}^1}, \quad (14)$$

სადაც დ და ლა — მოცემული ოპერაციის ჩატარებაზე დახარჯული საშუალო დრო შესაბამისად ავტომატიზაციისა და მექანიზაციის დანერგვამდე და დანერგვის შემდეგ, წთ.

ჩ<sup>1</sup> — დნობის საერთო რიცხვი ან ჩატარებული ოპერაციის რაოდენობა მოცემულ აგრეგატზე.

Δd<sub>ფ.გ.</sub> — ამორტიზაციისა და მექანიზაციის დანერგვის შედეგად ძირითადი ფონდების საშუალოწლიური ღირებულების ზრდა ათ. მან.

ფონდუკუგების მოსალოდნელი ზრდის რეზერვი საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის დანერგვის შედეგად შეიძლება გავიანგარიშოთ შემდეგი ფორმულით:

$$\Delta_{ა.გ.-რ.} = \frac{\sum_{i=1}^n (დ_{ფ.} \cdot ჩ^1 \cdot \nabla_b^1 \cdot სფ^1 - ფ^1 \cdot \Delta d_{ფ.გ.}) \cdot ხ_3}{d_{ფ}^1 + \Delta d_{ფ.გ.}}, \quad (15)$$

სადაც დ<sub>ფ.</sub> — ავტომატიზაციისა და მექანიზაციის დანერგვის შედეგად მოცემული ოპერაციის მოსალოდნელი შემცირების ხანგრძლიობა, წთ.

∇<sub>b</sub><sup>1</sup> — მოცემული აგრეგატის საათობრივი მწარმოებლურობა, ტ.

Δd<sub>ფ.გ.</sub> — ძირითადი ფონდების საშუალოწლიური ღირებულების მოსალოდნელი ზრდა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის შედეგად, ათ. მან.

მეტალურგიული აგრეგატების ინტენსიურ გამოყენებაზე და, აქედან გამომდინარე, ფონდუკუგების დონეზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს უპირველეს ყოვლისა საწარმოო პროცესების ინტენსიფიკაცია და ახალი ტექნოლოგიის დანერგვა, რამდენადაც ინტენსიფიკაცია იწვევს საწარმოო ციკლის შემცირებას და საბოლოო ჯამში იწვევს ძირითადი ფონდების გამოყენების გაუმჯობესებას. აღნიშნული ფაქტორის გავლენა იანგარიშება ფორმულით:

$$\Delta_{ფ.გ.} = \frac{\sum_{i=1}^n (\nabla_{ფ.გ.}^1 - \nabla_{ფ.გ.}^0) \cdot დ_{ფ.გ.}^1 \cdot სფ^0 \cdot ხ_3}{d_{ფ}^1}, \quad (16)$$

სადაც ∇<sub>ფ.გ.</sub><sup>1</sup> — მეტალურგიული აგრეგატის საშუალოდღიური მწარმოებლურობა საანგარიშო პერიოდში ინტენსიფიკატორების გამოყენებისა და ახალი ტექნოლოგიის დანერგვის შემდეგ, ტ.

∇<sub>ფ.გ.</sub><sup>0</sup> — აგრეგატების საშუალოდღიური მწარმოებლურობა საბაზისო პერიოდში ძველი ტექნოლოგიით, ტ.



დფ<sub>n,გ.</sub> — აგრეგატის მუშაობის ფაქტიური დრო ახალი ტექნოლოგიის დანერგვის შემდეგ, დღ.

ფონდუქუგების ზრდის რეზერვი ახალი ტექნოლოგიის დანერგვის შედეგად შეიძლება გავიანგარიშოთ შემდეგი ფორმულით:

$$\Delta_{ფი.გ.რ.} = \frac{\sum_{i=1}^n (მნ^i - ფნ^i) \cdot ნ^0 \cdot დფ^1 \cdot სფ \cdot ხ_3}{დფ^1}, \quad (17)$$

სადაც მწ<sub>გ</sub> — მეტალურგიული აგრეგატის მწარმოებლურობის მოსალოდნელი მაქსიმალური ზრდა საბაზისო პერიოდთან შედარებით როცა ახალი ტექნოლოგია არ გამოიყენებოდა %-ში.

ფნ<sup>1</sup> — მეტალურგიული აგრეგატის მწარმოებლურობის ფაქტიური ზრდა ახალი ტექნოლოგიის დანერგვის შედეგად საბაზისო პერიოდთან შედარებით როცა მოცემული ტექნოლოგია არ გამოიყენებოდა, %-ში.

მეტალურგიულ წარმოებაში პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება ფონდუქუგების ერთ-ერთ მუდმივმოქმედ ფაქტორად უნდა ჩაითვალოს, რადგან ხარისხიანი პროდუქციის გამოშვება მიუთითებს მეტალურგიული აგრეგატების რაციონალურ გამოყენებაზე. პრაქტიკაში პროდუქციის ხარისხის ცვლილებების გავლენა ფონდუქუგების დონეზე იანგარიშება საშუალოშეწონილი ფასების ცვლილების საფუძველზე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საშუალოშეწონილი ფასების ცვლილება ყოველთვის არ იძლევა პროდუქციის ხარისხის სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებების რეალურ სურათს, რადგან მასზე დიდ გავლენას ახდენს გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტი. გარდა ამისა, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება ხშირად დაკავშირებულია დამატებით დანახარჯებთან, რაც იწვევს ძირითადი ფონდების ღირებულების ზრდასა და ფონდუქუგების შემცირებას. ამიტომ, პროდუქციის ხარისხის ცვლილებების გავლენა ფონდუქუგების დონეზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია განგარიშებული იქნეს შემდეგი ფორმულით:

$$\Delta_{ფგ} = [(ხ_{36}^0 - ხ_{36}^1) \cdot მ_6^0 \cdot ს_{ფ6}^0 + (ხ_{31}^1 - ხ_{31}^0) \cdot მ_1^0 \cdot ს_{ფ1}^0 + (ხ_{32}^2 - ხ_{32}^1) \cdot მ_2^0 \cdot ს_{ფ2}^0] \cdot ხ^3 - ფ^0 \cdot \Delta_{ფგ}, \quad (18)$$

სადაც ხ<sub>36</sub><sup>0</sup>; ხ<sub>36</sub><sup>1</sup>; ხ<sub>31</sub><sup>0</sup>; ხ<sub>31</sub><sup>1</sup>; ხ<sub>32</sub><sup>0</sup>; ხ<sub>32</sub><sup>1</sup> — ხარისხისნიშნის პროდუქციის პირველი კატეგორიისა და მეორე კატეგორიის პროდუქციის ხედრითი წილი სასაქონლო პროდუქციის საერთო გამოშვებაში საანგარიშო და საბაზისო პერიოდში.

მ<sub>6</sub><sup>0</sup>; მ<sub>1</sub><sup>0</sup>; მ<sub>2</sub><sup>0</sup> — წარმოებული ხარისხისნიშნის პროდუქციის, პირველი კატეგორიისა და მეორე კატეგორიის პროდუქციის რაოდენობა ნატურალურ გამოსახულებაში საბაზისო პერიოდში ათ. ტ.

ს<sub>ფ6</sub><sup>0</sup>; ს<sub>ფ1</sub><sup>0</sup>; ს<sub>ფ2</sub><sup>0</sup> — ერთეული ხარისხისნიშნის პროდუქციის, პირველი და მეორე კატეგორიის პროდუქციის საშუალო ფასი საბაზისო პერიოდში, მან.

Δ<sub>ფგ</sub> — ძირითადი ფონდების საშუალოწლიური ღირებულების ზრდა იმ ღონისძიებათა ვატარების შედეგად, რაც მიმართულია პროდუქციის ხარისხის ამაღლებაზე ათ. მან.



ფონდუკუვების ზრდის რეზერვი პროდუქციის ხარისხის ამალღების ხარჯზე შეიძლება გავიანგარიშოთ შემდეგი ფორმულით:

$$\Delta_{ფ.რ} = \frac{(s_1^1 - s_2^1) \cdot m_2^1 \cdot b_3}{d_{ფ}^1}, \quad (19)$$

საღაც  $s_{1}^1$ ;  $s_{2}^1$  — პირველი და მეორე კატეგორიის პროდუქციის საშუალო ფასი საანგარო პერიოდში.

$m_2^1$  — მეორე კატეგორიის პროდუქციის რაოდენობა ნატურალურ გამოსახულებაში საანგარიშო პერიოდში ათ. ტ.

ფონდუკუვების ზრდის მნიშვნელოვანი რეზერვი დაკავშირებულია წუნდებული პროდუქციის ლიკვიდაციასთან. წუნდებული პროდუქციის მოცულობის ცვლილების გავლენა ფონდუკუვების დონეზე შეიძლება გავიანგარიშოთ შემდეგი ფორმულით:

$$\Delta_{ფ.წ} = \frac{z^0 \cdot b_{წ}^0 - z^0 \cdot b_{წ}^1}{d_{ფ}^1}, \quad (20)$$

საღაც  $z_{წ}^0$ ;  $b_{წ}^0$  — წუნდებული პროდუქციის თვითღირებულების ხვედრიწილი სასაქონლო პროდუქციის საწარმოო თვითღირებულებაში საანგარიშო და საბაზისო პერიოდში.

წუნდებული პროდუქციის გამოშვება იმის მაჩვენებელია, რომ ადგილი აქვს პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიის დარღვევას და რომ წარმოებაში გამოიყენება უხარისხო მასალები. ამიტომ, წუნდებული პროდუქციის მოცულობის შემცირება ცხადყოფს ძირითადი ფონდების გამოყენების გაუმჯობესებას და, აქედან გამომდინარე, მისი სრული ლიკვიდაცია ფონდუკუვების ზრდის მნიშვნელოვანი რეზერვია. ფონდუკუვების ზრდის რეზერვი წუნდებული პროდუქციის ლიკვიდაციის ხარჯზე გავიანგარიშება ფორმულით:

$$\Delta_{ფ.წ.რ} = \frac{z^1 \cdot b_{წ}^1}{d_{ფ}^1}. \quad (21)$$

მეტალურგიული წარმოების ყველა სტადიაზე აგრეგატების მწარმოებლობის ამალღება ბევრადღა დამოკიდებული გადასამუშავებელი ნედლეულის ხარისხზე. აღნიშნული ფაქტორის გავლენა ფონდუკუვების დონეზე შეიძლება გავიანგარიშოთ შემდეგი ფორმულით:

$$\Delta_{ფ.გ} = \frac{\sum_{i=1}^n z_{გ}^1 \cdot s_{გ}^0 (z_{გ}^1 - z_{გ}^0) \cdot b_3 + \sum_{i=1}^n z_{გ}^1 \cdot s_{გ}^0 (z_{გ}^1 - z_{გ}^0)}{d_{ფ}^1}, \quad (22)$$

საღაც  $z_{გ}^1$  — გადასამუშავებელი ნედლეულის მოცულობა საანგარიშო პერიოდში ათ. ტ.

$s_{გ}^0$ ;  $s_{გ}^1$  — ერთეული ძირითადი და მეორადი პროდუქციის ფასი მან.

$z_{გ}^0$ ;  $z_{გ}^1$  — ძირითადი პროდუქციის გამოსავლიანობა ერთი ტონა გადამუშავებული ნედლეულიდან საანგარიშო და საბაზისო პერიოდში პროცენტებში.

$v_{33}^1; v_{33}^0$  — მეორადი პროდუქციის გამოსავლიანობა ერთი ტონა გადამუშავებული ნედლეულიდან პროცენტებში საანგარიშო და საბაზისო პერიოდში. ფონდუკუგების ზრდის რეზერვი აღნიშნული ფაქტორის ხარჯზე იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$\Delta_{ფ.რ} = \frac{\sum_{i=1}^n v_{33}^1 \cdot სფ_{33}^1 (v_{33}^0 - v_{33}^1) \cdot b_3}{d_{ფ}^1}, \quad (23)$$

სადაც  $v_{33}^0$  — ძირითადი პროდუქციის მაქსიმალური გამოსავლიანობა ნორმით ერთი ტონა გადასამუშავებელი ნედლეულიდან პროცენტებში.

ზემოთ განხილული ინტენსიური ფაქტორები უშუალო გავლენას ახდენენ ძირითადი ფონდების ინტენსიური გამოყენების მაჩვენებელზე, რომლის ცვლილების გავლენაც ფონდუკუგების დონეზე გაიანგარიშება ფორმულით:

$$\Delta_{ფ.ფ} = \frac{\sum_{i=1}^n (v^1 - v^0) \cdot დფ^1 \cdot სფ^0 \cdot b_3^0}{d_{ფ}^1}, \quad (24)$$

სადაც  $v^1$  და  $v^0$  — მეტალურგიული აგრეგატების მწარმოებლურობა დროის ერთეულში (სთ. დღ.) საანგარიშო და საბაზისო პერიოდშიც;

ხოლო ფუნდუკუგების ზრდის რეზერვი მეტალურგიული აგრეგატების ინტენსიური გამოყენების გაუმჯობესების შედეგად გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$\Delta_{ფ.გ} = \frac{\sum_{i=1}^n (v^0 - v^1) \cdot დფ^1 \cdot სფ^1 \cdot b_3^1}{d_{ფ}^1}, \quad (25)$$

სადაც  $v^0$  — მეტალურგიული აგრეგატის მაქსიმალური მწარმოებლურობა ნორმით დროის ერთეულში (სთ. დღ.) ტ;

როგორც გამოკვლევები ცხადყოფენ, შავი მეტალურგიის საწარმოებში ძირითადი ფონდების გამოყენების გაუმჯობესების უდიდესი რეზერვებია დაგროვილი, რომელთა რეალიზაციის მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს ძირითადი ფონდების გამოყენების ანალიზის შემდგომი სრულყოფა და რომლის უმნიშვნელოვანეს პირობად გვესახება ანალიზის შემოთავაზებული მეთოდოლოგია.

Н. О. КAVTAPADZE

## ПУТИ СОВЕРШЕНСТВОВАНИЯ АНАЛИЗА ИСПОЛЬЗОВАНИЯ ОСНОВНЫХ ПРОИЗВОДСТВЕННЫХ ФОНДОВ НА ПРЕДПРИЯТИЯХ ЧЕРНОЙ МЕТАЛЛУРГИИ

Резюме

В статье обосновывается необходимость совершенствования методики экономического анализа использования основных производственных фондов. При этом совершенствование методики анализа ис-

пользования основных производственных фондов автором рассматривается как важнейшее условие повышения эффективности производства. Большое внимание уделено автором классификации рассматриваемых факторов фондоотдачи на предприятиях черной металлургии.

В статье охарактеризованы важнейшие факторы, влияющие на уровень использования основных производственных фондов, и дана более совершенная методика определения их влияния на уровень фондоотдачи.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის აღრიცხვისა და ფინანსების განყოფილებამ



ვაჟა ფანჯაკიძე, თეიმურაზ თუთაშვილი

საქართველოს სსრ სახალხო მიწრნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და  
სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის სრულყოფის  
ვაჭტორები

უკანასკნელ წლებში, საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით, რესპუბლიკა იქცა სახალხო მეურნეობის მართვის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის ჩატარებული ექსპერიმენტების პოლიგონად. ეს დაიწყო აბაშის ექსპერიმენტით, რაც შემდგომში საფუძვლად დაედო ჩვენს ქვეყანაში აგროსამრეწველო კომპლექსის ჩამოყალიბებას. დღეს, მისი ძირითადი რგოლი — რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება ითვლება სოფლის მეურნეობის მართვის საყოველთაოდ აღიარებულ ეფექტურ ფორმად. მაგრამ, იგი ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ სრულყოფილი, თავი იჩინა უარყოფითმა მომენტებმა, რომლის ლიკვიდაციის მიზნით რესპუბლიკაში შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი (სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და „საქსოფლტექნიკის“ სახელმწიფო კომიტეტის ბაზაზე). კომიტეტის ხელში კონცენტრირებულია შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსები, რომელიც საშუალებას იძლევა დადებითად გადაწყდეს სოფლის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, უზრუნველყოფდ იქნეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია, წარმატებით გადაილახოს უწყებრობის ბარიერები, დუბლირება და სხვა.

დადებითი ძვრები მოხდა ტერიტორიალური მართვის როლის ამაღლების საქმეში, რაც გამოიხატა ფოთში და თბილისის რაიონებში ტერიტორიალურ-დარგთაშორისო გაერთიანებების ჩამოყალიბებით. რესპუბლიკაში ექსპერიმენტები გრძელდება და იმყოფება ძიების პროცესში, რაც მომავალში გამოხატული იქნება მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის, ფორმებისა და მეთოდების სრულყოფით.

მართვითი ორგანოების სრულყოფა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელი კადრების წინაშე აყენებს სრულიად ახალ მიზნებს. აუცილებელია რომ ნებისმიერი დონის ყოველმა ხელმძღვანელმა მუშაკმა სრულად შეიგრძნოს სიახლის არსი, სწორად შეაფასოს მისი უპირატესობა და გამოიყენოს იგი საწარმოო პროცესების კვალიფიკაციური მართვისათვის. აღნიშნულიდან გაშომდინარე, ისინი დღენიდაგ უნდა ცდილობდნენ, მაქსიმალურად აიმაღლონ ცოდნის დონე, შეუხამონ თანამედროვე მოთხოვნებს პირადი თვისებები, ჩვევები, უნარი.

თითოეული ხელმძღვანელი უნდა წარმოადგენდეს პიროვნებას, რომელიც აღჭურვილია ღრმა პოლიტიკური და თეორიული ცოდნით, პრაქტიკული საქ-

მიანობის დიდი გამოცდილებით, ორგანიზატორული ნიჭით, საქმისადმი ერთგულებით და განსაკუთრებული მორალურ-ეთიკური თვისებებით. სოციალისტური საზოგადოების მართვისათვის, განსაზღვრავდა ლენინი, აუცილებელია ძივალწიოთ იმას, რომ გადაწყვეტ უბნებზე „...იდგენ ხალხი არა მხოლოდ ერთგულები, არამედ ნამდვილად განათლებული და უზარმაზარი მონაცემების მქონე ხალხი... ნიჭიერი ხალხი“<sup>1</sup>.

თანამედროვე ტიპის ხელმძღვანელის აღზრდისა და სწავლების სრულყოფის საქმეში განსაკუთრებული როლი ენიჭება ჩვენს ქვეყანაში კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის ორგანიზაციისა და მართვის ეფექტურობის ამაღლებას.

ჩვენი საზოგადოების განვითარების ძირითადი მიმართულებათა გათვალისწინებით, კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფოებრივი სისტემა მოითხოვს ორგანიზაციული სტრუქტურის, სასწავლო კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდის, კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, საბეჭდო-კვლევითი და მეთოდური მუშაობის, სასწავლო პროცესის, სწავლების შინაარსისა და მისი აქტივობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას.

მაკავშირე რესპუბლიკის კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა, ერთიანი სახელმწიფოებრივი სისტემის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია და დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის წინაშე წამოჭრილი პრობლემების ყოველმხრივ განზოგადობას, შეცნობას, რათა მოვახდინოთ მთელი ძალების კონცენტრაცია მათი გადაწყვეტისათვის.

საბოლოო ჯამში, სახელმწიფოებრივი სისტემის დინამიური განვითარება, სრულყოფა ხომ უშუალოდ დამოკიდებულია მასში შემავალი ქვესისტემების გეგმავობაზე და ეფექტურ ფუნქციონირებაზე?

საქართველოს სსრ კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის სრულყოფის მრავლი ფაქტორიდან გვინდა გამოვყოთ და განვიხილოთ 2 დიდი მნიშვნელობის მქონე ფაქტორი, რომლებიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ სისტემის საერთო მდგომარეობას. ეს ფაქტორებია:

1. რესპუბლიკის კვალიფიკაციის ამაღლების სისტემისადმი პარტიული ხელმძღვანელობის;

2. სისტემის ორგანიზაციისა და კერძოდ ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფის.

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

კვალიფიკაციის ამაღლების სისტემისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ფაქტორს თანამედროვე პირობებში გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. პარტია ეყრდნობა რა საკადრო პოლიტიკის ლენინურ პრინციპებს, ხელმძღვანელობს ლენინური სტილის მქონე თანამედროვე ტიპის ხელმძღვანელი მუშაკის შერჩევას, განლაგებას, აღზრდას, სწავლებას.

სახალხო მეურნეობის დარგებში დასაქმებული კადრების სწავლების სრულყოფისადმი მუდმივი მზრუნველობის შედეგი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებები (დადგ. № 515, 1967 წ. და № 933, 1977 წ.), სადაც მოცემულია სისტემის ორგანიზაციული სტრუქტურის, დაფინანსების წყაროების, დაგეგმ-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი. თხზ. ტომი 45, გვ. 105.

ვის, სასწავლო პროცესის, სამეცნიერო და სასწავლო მეთოდური მუშაობის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები. აღნიშნული დადგენილებებით პარტიული ხელმძღვანელობის ორგანოების მიერ ნაჩვენებია კვალიფიკაციის ამაღლების სისტემაში შემაჯავალი ქვედანაყოფების სამოქმედო გეგმა, რომლის აუცილებელი დაცვა ამაღლებს კადრების სწავლების ეფექტიანობას.

რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობის ორგანოები ღრმად განაზოგადებენ ქვეყნის პარტიული ხელმძღვანელობის ორგანოების მიერ შემუშავებულ საკადრო პოლიტიკის მიზნებს, ძირითად მიმართულებებს და სახავენ თავის სამოქმედო პროგრამას, რომლის ნათელ მაგალითსაც წარმოადგენს სასაქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმი „რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები კადრების მომზადების, განლაგების და აღზრდის გაუმჯობესებაში, საქართველოს სსრ შემდგომი ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტივების უქუხე“, რომელიც 1979 წლის 30 ოქტომბერს გაიმართა.

პლენუმის საანგარიშო მოხსენებაში, ღრმა მეცნიერული მიდგომის საფუძველზე განალიზებულია ჩვენი ქვეყნის ლენინური საკადრო პოლიტიკა და კადრებთან მუშაობის პარტიული ხელმძღვანელობის ძირითადი ფორმები და მეთოდები;

განხილულია რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი ორგანოების საქმიანობა საკადრო პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულებით;

პლენუმზე დამტკიცდა რესპუბლიკაში კადრების შერჩევის, განლაგების, მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების კომპლექსური პროგრამა, რომლის რეალური შედეგებიც დღეს ასე თვალნათლივ ჩანს. თავისი მასშტაბურობით, მეცნიერული დასაბუთებით და პრაქტიკული ღირებულებით აღნიშნული პროგრამა ძალზედ მნიშვნელოვანია.

პროგრამის რეალიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მომენტად შეიძლება ჩაითვალოს კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ერთიანი რესპუბლიკური სისტემის ჩამოყალიბება. პლენუმის გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარებამ კიდევ უფრო აამაღლა სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტების სწავლების როლი, თანამედროვე ტიპის ხელმძღვანელი მუშაკის, როგორც პიროვნების ჩამოყალიბების საქმეში. მოხდა სისტემის სტრუქტურის დახვეწაც, კერძოდ: საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტთან შეიქმნა კვალიფიკაციის ამაღლების საკორდინაციო საბჭო, შეიქმნა აგრეთვე სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტი, რომელიც იქცა საკორდინაციო საბჭოს სამუშაო ორგანოდ. მასვე დაევალა რესპუბლიკაში არსებული კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრების მეთოდური ხელმძღვანელობაც.

სისტემისადმი აპრტიული ხელმძღვანელობის სრულყოფის შემდგომ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს საკორდინაციო საბჭოს რეორგანიზაცია საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის კადრებთან მუშაობის საკორდინაციო საბჭოდ. საბჭოს 7 სექცია კურირებს სწავლების სხვადასხვა ქვესისტემებს, კადრების კატეგორიის, დონის, აგრეთვე სახალხო მეურნეობის დარგების გათვალისწინებით.

პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკების სწავლების კონცენტრაციის მიზნით და საქართველოს კვ XVI ყრილობის დადგენილებათა გათვალისწინებით 1983 წლიდან რესპუბლიკაში შეიქმნა პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელების კვალიფი-



კაციის ამალღების ერთიანი ცენტრი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელი მუშაკების სწავლებისა და სარეზერვო კონტინგენტთან მუშაობის სრულყოფის საქმეში. გარდა ზემოაღნიშნულისა ცენტრში შემავალი სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტი ეწევა დიდ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას სისტემური ანალიზის, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების პროგნოზირების, სწავლების აქტიური მეთოდების, ხელმძღვანელის საქმიანი თვისებების ობიექტური შეფასების მეთოდების სფეროში.

კვალიფიკაციის ამალღების სისტემის სრულყოფისათვის პარტიული ორგანოების მიერ ჩატარებული ღონისძიებების განზოგადოება გვიჩვენებს, რომ:

— რესპუბლიკაში შეიქმნა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკების სწავლების ერთიანი, ქმედითი სისტემა; გაუმჯობესდა კვალიფიკაციის ამალღების სისტემის ორგანიზაციულ-სტრუქტურული სახე.

— რესპუბლიკაში არსებული კვალიფიკაციის ამალღების ცენტრების საქმიანობას მიეცა უფრო ორგანიზებული ხასიათი. ამალღდა მათი პასუხისმგებლობა.

— საკორდინაციო საბჭოს სახით შეიქმნა ორგანო, რომელსაც შესწევს უხარი განამტკიცოს რესპუბლიკის კვალიფიკაციის ამალღების ცენტრების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ფინანსური მდგომარეობა, მსმენელთა კონტინგენტის დაგეგმვის პერსპექტიულობა, და სტაბილურობა და რაც მთავარია აამალღოს სწავლების ხარისხი და შესაბამისად ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტების მაღალკვალიფიციური სწავლებიდან მიღებული უკუგება.

— რესპუბლიკის პარტიული ორგანოების საქმიანობა, მის მიერ გამოყენებული ორგანიზაციული ფორმები და მეთოდები კვალიფიკაციის ამალღების სისტემის სრულყოფის (საკორდინაციო საბჭოსა და ერთიანი ცენტრის შექმნა) საქმეში, შეიცავს სიახლის ელემენტებს და, ჩვენის აზრით საჭიროა მისი განზოგადება, როგორც მოწინავე გამოცდილება.

სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტების სწავლების სრულყოფა უშუალო კავშირშია ისეთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორთან, როგორცაა სისტემის სწორი ორგანიზაცია, მისი ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა. დახვეწილი, რაციონალური ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნა და სწავლების სწორი ორგანიზაცია წარმოუდგენელია კომპლექსური, სისტემური მიდგომის გარეშე. ს. გ. ქადაგიძე აღნიშნავს, რომ „წარმოიქმნა სწავლების ორგანიზაციისადმი კომპლექსური მიდგომის ობიექტური აუცილებლობა...<sup>2</sup>, როდესაც ვლადიკავთ ხელმძღვანელი მუშაკების სწავლების სისტემის ორგანიზაციაზე, მხედველობაში გვაქვს მასში შემავალი ქვესისტემების აუცილებელი, ჰარმონიული განვითარება. ასეთ ქვესისტემებად საბჭოთა მეცნიერებს გ. ხ. პოპოვს, მ. ს. ნაკურნიოვს, ვ. ი. ოზირას, ი. ბ. სკორობოგატოვს და სხვებს მიაჩნიათ სპეციალური საბაზო მომზადება, სპეციალური თანამდებობრივი მომზადება და კვალიფიკაციის ამალღება, ხოლო ლ. ბ. ბაეცს აღნიშნული ქვე-

<sup>2</sup> ხელმძღვანელი სამეურნეო კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამალღების სისტემა: პრობლემები და სრულყოფის გზები. სამეც. მეთ. კომფ. მასალები, თბილისი, 1982, გვ. 8. 3. „მაცნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1984, № 2

სისტემების პროპორციული განვითარება მიაჩნია კადრების სწავლების ორგანიზაციის უმნიშვნელოვანეს პრინციპად.

ჩვენს ქვეყანაში მოცემული ქვესისტემების განვითარების დონე საკმაოდ არათანაბარია:

I ქვესისტემაში — სპეციალურ საბაზო მომზადებას უნდა გადიოდნენ უმაღლესდამთავრებული სპეციალისტები, რომლებსაც გააჩნიათ პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება და სწავლების კურსის გავლის შემდეგ დაიკავებენ პირველ ხელმძღვანელ თანამდებობას. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ქვესისტემა ჩვენს ქვეყანაში თითქმის არ მოქმედებს, გამონაკლის წარმოადგენს მხოლოდ ს. ორჯონიკიძის სახელობის მოსკოვის მართვის ინსტიტუტი, სადაც დაიწყო სპეციალისტების სწავლება მართვის ორგანიზაციის პროფილით.

II ქვესისტემაში სპეციალურ თანამდებობრივ მომზადებას გადიან ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებიც სასწავლო ციკლის წარმატებით გავლის შემდეგ უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ შედარებით მაღალი რანგის ხელმძღვანელი თანამდებობით, ვიდრე სწავლის დაწყებამდე ეკავათ (საწარმოს ხელმძღვანელი ან მოადგილე, საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ან მოადგილე და სხვ.). მოცემული ქვესისტემა ჩვენს ქვეყანაში გაცილებით უკეთაა ორგანიზებული და მოიცავს შემდეგი სახის ცენტრებს:


1) სსრკ მინისტრთა საბჭოს სახალხო მეურნეობის აკადემია (უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელი მუშაკებისათვის, სწავლების ხანგრძლივობა 2 წელი, წარმოებიდან მოწყვეტით);

2) სამრეწველო წარმოების ორგანიზატორების სპეციალური ფაკულტეტები (დაბალი რგოლის ხელმძღვანელი მუშაკებისათვის, სწავლების ხანგრძლივობაა 3—6 თვე წარმოებიდან მოწყვეტით).

ჩვენს რესპუბლიკაში აღნიშნული სწავლების ფორმა დანერგულია სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა და სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის კვალიფიკაციის ამალღების ფაკულტეტებზე, მაგრამ იგი ნაკლებადეფექტურია, რომლის გამომწვევი მიზეზიც მდგომარეობს შემდეგში. კურსდამთავრებული მსმენელები არ არიან უზრუნველყოფილი სათანადო სამუშაო ადგილით, რის გამოც ირღვევა ქვესისტემის ძირითადი პრინციპი. ჩვენი შეხედულებით, გარდა ხელმძღვანელი მუშაკების გადამზადებისა, აღნიშნულმა ქვესისტემამ უნდა მოიცვას რესპუბლიკაში სარეზერვო კონტინგენტთან მუშაობა, ხელმძღვანელი კადრების ოპტიმალური თანამდებობრივი გადაადგილების უზრუნველყოფის მიზნით. ამ მიმართულებით მუშაობის სათანადო გამოცდილება აქვს სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტს.

III ქვესისტემა მოიცავს ჩვენს ქვეყანაში ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტების კვალიფიკაციის ამალღებას. იგი სწავლების ყველაზე გავრცელებული ფორმაა და მოწოდებულია ამაღლოს ხელმძღვანელი კადრების ცოდნის დონე, სრულყოფს პირადი თვისებები, ჩვევები, უნარი. ქვესისტემა აერთიანებს სახალხო მეურნეობის დარგთაშორისო და დარგობრივ კვალიფიკაციის ამალღების ინსტიტუტებს (ფილიალებითურთ), ფაკულტეტებს, კურსებს.

ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელი კადრების სწავლების ერთიანი სისტემის ორგანიზაციულ სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კვალიფიკაციის ამალღებას (იხ. სქემა № 1).





ჩატარებული ორგანიზაციული გარდაქმნების შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ ის აუცილებელი მოთხოვნები, რომლებიც დგას ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წინაშე, სამეურნეო კადრების მომზადებისა და გადამზადების სრულყოფის პროცესში. ეს მოთხოვნებია:

— კადრების სწავლება მაქსიმალურად უნდა განხორციელდეს მოკავშირე რესპუბლიკის ფარგლებში.

— სამეურნეო კადრების დიფერენციაციის საფუძველზე უნდა განხორციელდეს სასწავლო ცენტრების სპეციალიზაცია და მას მიეცეს სტაბილური ხასიათი.

სქემის განხილვა საფუძველს გვაძლევს ჩამოვყალიბოთ გარკვეული დასკვნები ჩვენს რესპუბლიკაში სწავლების სისტემის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ:

1. სამეურნეო კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის სწორი ორგანიზაციისათვის, რესპუბლიკაში შეიქმნა ერთიანი მართვითი ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს პერსპექტივაში სწავლების პროცესის გეგმაზომიერ წარმართვას და ხარისხის ამაღლებას;

2. განსაკუთრებით გაიზარდა სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის, როგორც საკორდინაციო საბჭოს სამუშაო ორგანოს როლი. იგი წარმოადგენს იმ უმზინელოვანეს რგოლს, რომლის მიზანდასახულ საქმიანობაზე ბევრადაა დამოკიდებული არა მარტო სამეურნეო კადრების სწავლების სწორი ორგანიზაცია, არამედ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში მართვის ფორმების, სტრუქტურის, პროცესების სრულყოფისათვის დაწყებული ექსპერიმენტების წარმატებით დასრულება. „მართვის სრულყოფის პრობლემები სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს... იგი სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებიდან... გადაიქცეს სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისადმი, ეკონომიკური ექსპერიმენტების მომზადებისა და მოწყობისადმი ხელმძღვანელობის ახლახან შექმნილი რესპუბლიკური კომისიის ქმედით სამუშაო ორგანოდ“<sup>3</sup> — აღნიშნა ე. ა. შევარდნაძემ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე (1984 წლის აპრილი).

სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტი, ორგანიზაციული სტრუქტურრიდან გამომდინარე, ახორციელებს ხელმძღვანელობისა და სპეციალისტების სწავლების რესპუბლიკური სისტემის მეთოდურ ხელმძღვანელობას და კონტროლს: სახალხო მეურნეობის მართვის ორგანოების გარდაქმნა-სრულყოფის პროცესების შედეგად მიღებულ გამოცდილებას უშუალოდ იყენებს სასწავლო პროცესში. ინსტიტუტში კვალიფიკაციის იმაღლებენ უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელი მუშაკები, აქვე მოქმედებს უმაღლესი რგოლის სარეზერვო კონტინგენტთან მუშაობის გამართული სისტემა. სარეზერვო კონტინგენტის ცოდნის დონის, პირადი თვისებების, უნარის კომპლექსური შეფასების საფუძველზე იქმნება სწავლების ინდივიდუალური პროგრამები, რომელიც საშუალებას მოგვცემს პერსპექტივაში მივაღწიოთ ხელმძღვანელი მუშაკის, როგორც პიროვნების კომპლექსურ სრულყოფას. ჩვენი შეხედულებით, საჭიროა სარეზერვო კონტინგენტთან მუშაობის ინსტიტუტში გამოყენებული ფორმები და მეთოდები განზოგადდეს და შეძლებისდაგვარად გავრცელდეს რესპუბლიკის

<sup>3</sup> საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის მასალები (1984 წ. აპრილი).

კვალიფიკაციის ამაღლების სხვა ცენტრებში, რათა მან მოიცვას საშუალო რგოლი ხელმძღვანელი მუშაკების სარეზერვო კონტინგენტის მომზადება.

3. ორგანიზაციულ სტრუქტურაში მოცემული საშუალო და დაბალი რგოლის ხელმძღვანელი მუშაკების, აგრეთვე სპეციალისტების კონტინგენტის მნიშვნელოვანი ნაწილი კვალიფიკაციას იმაღლებს უმაღლეს სასწავლებლებთან არსებულ კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრებში, კერძოდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის, სოხუმის სუბტროპიკური მეურნეობის ინსტიტუტის და ზოოვეტერინალური სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტებზე, აგრეთვე პოლიტექნიკური ინსტიტუტის კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე. შეიძლება ითქვას, რომ სამეურნეო კადრების სწავლების სისტემაში განსაკუთრებით მაღალია უმაღლესი სასწავლებლების როლი, რომელთა განკარგულებაშია ძლიერი მატერიალურ-ტექნიკური, სამეცნიერო და სასწავლო ბაზა, პროფესორ მასწავლებელთა მაღალკვალიფიციური კონტინგენტი. ჩვენ მიგვაჩნია, რომ უმაღლესი სკოლის როლის განუზრგელი ამაღლება სამეურნეო კადრების სწავლების საქმეში, არის ის უზარმაზარი რეზერვი, რომლის მაქსიმალური გამოყენებაც უთუოდ ამაღლებს სისტემის ეფექტურობას, გაზრდის მის უკუგებას.

4. ჩვენი შეხედულებით, აუცილებელია პოლიტექნიკური ინსტიტუტის კვალიფიკაციის ამაღლების კურსების რეორგანიზაცია ფაკულტეტად, რის საფუძველზეც:

ა) გაიზრდებოდა სასწავლო ცენტრის მოქმედების დიაპაზონი, მაქსიმალურად იქნებოდა გამოყენებული ის დიდი შესაძლებლობები, რომელსაც ფლობს პოლიტექნიკური ინსტიტუტი;

ბ) შესაძლებელი გახდებოდა კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტების სპეციალიზაცია, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების სისტემაში დასაქმებული საშუალო და დაბალი რგოლის ხელმძღვანელი მუშაკების საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

5. საჭიროა ორგანიზაციული ზემოქმედების გაძლიერება კადრების სწავლების სისტემაში შემავალი ქვესისტემების ჰარმონიული განვითარების უზრუნველსაყოფად. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუცილებელია სპეციალური საბაზო მომზადების ქვესისტემის ამოქმედება.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგების სპეციფიკა, მისი განვითარების დონე და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მაღალი ტემპები, აუცილებელს ხდის სამეურნეო ხელმძღვანელების საბაზო სწავლების ორგანიზაციას, რესპუბლიკის რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში. სწავლების ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 2 — 2,5 წელი და მოიცავდეს რამოდენიმე ეტაპს (თეორიული სწავლება, სწავლება აქტიური მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, სტაჟირება). ჩვენი შეხედულებით, სწავლებამ უნდა მოიცვას ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებმაც გამოავლინეს განსაკუთრებული ორგანიზატორული ნიჭი და აქვთ მიღებული უმაღლესი განათლება, აგრეთვე გააჩნიათ საწარმოში მუშაობის რამოდენიმე წლის სტაჟი. აღნიშნული ქვესისტემის ამოქმედება პერსპექტივაში დიდ ზეგავლენას მოახდენს ჩვენს რესპუბლიკაში ლენინური საკადრო პოლიტიკის გატარების საქმეზე.

6. აუცილებელია სპეციალური თანამდებობრივი მომზადების (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა და სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტები) ეფექტურო-

ბის ამადლება. თუ არ გადაწყდება მსმენელების სწავლების დამთავრების, შეძღვომ სათანადო ხელმძღვანელი თანამდებობით აუცილებელი უზრუნველყოფის პრობლემა, სწავლების აღნიშნული ფორმა დაკარგავს თავის მნიშვნელობას და საქმე გვექნება მხოლოდ დროისა და ფინანსური რესურსების უშედეგო ხარჯვასთან.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის კადრების სწავლების სისტემა იღებს სრულყოფილ სახეს. შეიქმნა ერთიანი ხელმძღვანელობის ორგანოები, თანდათანობით უმჯობესდება ქვესისტემაში შემავალი სასწავლო ცენტრების სტრუქტურა და საქმიანობის ხარისხი. მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტა კიდევ უფრო შეუწყობს ხელს რაციონალური ორგანიზაციული-სტრუქტურის, როგორც სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელი კადრებისა და სპეციალისტების სწავლების სისტემის სრულყოფის მნიშვნელოვანი ფაქტორის როლის კიდევ უფრო ამადლებას.

В. Д. ПАНДЖАКИДЗЕ, Т. М. ТУТАШВИЛИ

## ФАКТОРЫ СОВЕРШЕНСТВОВАНИЯ ПОВЫШЕНИЯ КВАЛИФИКАЦИИ РУКОВОДЯЩИХ РАБОТНИКОВ И СПЕЦИАЛИСТОВ НАРОДНОГО ХОЗЯЙСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

### Резюме

В современных условиях, когда центр тяжести в хозяйственном управлении все больше переносится на экономические методы руководства, от кадров всех уровней требуется хорошая экономическая подготовка, умение анализировать производственно-хозяйственную деятельность не только с количественных, но и с качественных позиций, то есть с учетом экономической эффективности, находить лучшие решения, обеспечивающие рост производительности труда.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და საპარტოლის ინსტიტუტის სოციოლოგიისა და დემოგრაფიის პრობლემების განყოფილებამ



Н. Дж. ТЕРАШВИЛИ

## РАЗРАБОТКА КЛАССИФИКАЦИИ ФАКТОРОВ РОСТА ПРОИЗВОДИТЕЛЬНОСТИ ТРУДА

В настоящее время особо важное значение придается вопросам совершенствования управления производительностью труда. Для этого следует «осуществить на всех уровнях хозяйствования систему мероприятий, направленных на более полное использование всех видов ресурсов — труда, энергии, сырья и материалов, оборудования и производственных мощностей, сокращение различных потерь и отходов, ликвидации непроизводительных расходов»<sup>1</sup>. Правильные и своевременные управленческие решения в этом направлении обеспечат высокие темпы роста производительности труда.

Все то, что служит увеличению выпуска той или иной потребительной стоимости при меньших удельных затратах труда, находит свое отражение в росте производительности труда. На него действует целый ряд факторов. Поэтому управление таким сложным явлением, как производительность труда, лишь в том случае будет эффективным, если оно охватит действие всех факторов. Для лучшего управления производительностью труда, на наш взгляд, необходимо разработать классификацию факторов ее роста.

На сегодняшний день существует множество классификаций факторов роста производительности труда. В основу их положены различные критерии, зависящие от того, какую цель преследуют их авторы. Между тем, чтобы управление производительностью труда было высокоэффективным, необходимо все функции управления (анализ, планирование, контроль, оценка, регулирование) осуществлять по одним и тем же каналам управления.

Существующие классификации факторов роста производительности труда имеют ряд недостатков. Все они, не учитывая взаимодействия отдельных факторов, не исключают дублирования и, кроме того, в них наблюдается смешение таких понятий, как «фактор», «условие» и «мероприятие».

То, что движет производительность труда, является ее фактором<sup>2</sup>. Определение «фактор — это постоянно действующая причина, определяющая уровень и динамику производительности труда»<sup>3</sup>, на наш взгляд, является неточным: совсем не обязательно, чтобы фактор действовал постоянно, ибо «фактор будет действовать по отношению к производительности труда до тех пор, пока будут сохраняться условия, породившие его»<sup>4</sup>. Например, технический прогресс является факто-

<sup>1</sup> Материалы XXVI съезда КПСС. М., 1981, с. 198.

<sup>2</sup> Фактор — лат. factor — делающий, производящий — движущая сила какого-либо процесса, явления.

<sup>3</sup> Полещук Н. Г., Юдакова Е. Н. Разработка факторных моделей роста производительности труда. М., 1978, с. 7.

<sup>4</sup> Корнеску В. И. Производительность труда и человеческий фактор. М., 1979, с. 39.



ром роста производительности труда вообще и, в частности, он может проявляться то в механизации или автоматизации производства, то в модернизации оборудования не постоянно, а время от времени.

Таким образом, фактор в соприкосновении с явлением, подлежащим его воздействию, всегда движет это явление (вперед или назад), а вне соприкосновения остается движущей силой лишь в потенции.

Мероприятие — это конкретное действие для направления и реализации влияния фактора или формирования условия. Причем оно, в отличие от фактора, обязательно находится в движении.

Условие — это обстоятельство, от которого зависит сила воздействия фактора. При полноте благоприятных условий сила воздействия фактора достигает предела своих максимальных возможностей, а при менее благоприятных условиях соответственно ограничивается (сковывается). Факторы более динамичны, а условия статичны по сравнению с факторами.

Такое разграничение понятий «фактор», «мероприятие» и «условие» необходимо при разработке классификации факторов. Как известно, основными требованиями, которым должна удовлетворять классификация факторов, применяемая для анализа и планирования, являются следующие: включение всех факторов, оказывающих влияние на уровень и динамику производительности труда; возможность анализа, выявления и количественного измерения влияния каждого фактора в отдельности без учета влияния других; исключение возможности дублирования факторов или же установление порядка, исключающего полное или взаимопомогающее их действие; отражение всего многообразия источников роста производительности труда.

Распределение факторов, не полностью учитывающих эти требования, в настоящее время производят по следующим укрупненным группам (классификация факторов для целей планирования):

- 1) повышение технического уровня производства;
- 2) улучшение организации производства и внедрение научной организации труда;
- 3) изменение объема и структуры производства;
- 4) отраслевые факторы.

В работах различных авторов, как по анализу, так и по планированию, хотя они и придерживаются вышеприведенной классификации, имеются различия в расположении факторов по отдельным группам. Например, Н. Г. Полещук и Е. Н. Юдакова укрупняют первую группу факторов за счет включения в нее некоторых факторов второй группы и всех — третьей группы. Такой подход они объясняют тем, что действие технических факторов всегда сопровождается изменением организации производства и труда, вызывает потребность в повышении квалификации рабочих и т. д. и тем, что, как правило, существенно занижается роль технического прогресса. Однако вследствие этого в общем, конечном результате механически возрастает доля факторов первой группы. На наш взгляд, увеличение доли факторов первой группы за счет уменьшения доли факторов других групп путем вышеуказанного укрупнения не совсем правомерно, так как, следуя логике авторов, все организационные и прочие факторы следовало бы перенести в группу, характеризующую технический уровень производства, т. е. получилась бы одна большая «группа» и классификация, как таковая, потеряла бы всякий смысл.

Нет единого мнения среди различных авторов и относительно того, сколько и какие группы факторов должны выделяться. Некоторые исследователи опасаются, что увеличение числа групп факторов, на



первый взгляд давая возможность учесть все возможности роста производительности труда, на самом деле может привести к дублированию факторов<sup>5</sup>. Однако и та классификация, которая ныне применяется для целей планирования, не исключает дублирования факторов в процессе их влияния на формирование уровня и динамики производительности труда.

Кроме классификации факторов для целей планирования, содержащей только несколько укрупненных (агрегированных) факторов, включающих в себя воздействие более мелких частных факторов, существует множество описательных классификаций факторов роста производительности труда, насчитывающие в своем составе более ста факторов<sup>6</sup>. Достоинством описательных классификаций является то, что они подробно перечисляют множество причин, от которых зависит производительность труда на предприятии, указывают конкретные пути ее повышения. Однако при планировании и управлении подсчет влияния такого количества факторов практически невозможен, так как многие из них дублируются. Это, на наш взгляд, вызвано тем, что, детально характеризуя факторы роста производительности труда, существующие описательные классификации не дают четкого разграничения области их действия на итоговую величину производительности труда, которую следует рассматривать как систему.

Устранение вышеуказанных недостатков применяемых ныне классификации факторов роста производительности труда откроет широкую возможность высокоэффективного управления производительностью труда. Для достижения этой цели мы считаем необходимым осуществить группировку факторов по их воздействию на элементы-сомножители целостной системы данного экономического явления.

Начнем с изложения исходных позиций, которыми будем руководствоваться при классификации факторов роста производительности труда для целей управления.

Можно выявить определенную закономерность взаимосвязи временного горизонта целей с масштабами и уровнем комплексности развития регионов. Регионы крупного ранга могут сформировать более долгосрочные цели, реализация которых связана со многими хозяйственными и организационными сложностями. Такие же крупные долгосрочные цели могут поставить перед социально-экономической системой регионы с высокой степенью комплексности развития, поскольку у них имеются внутренние возможности для привлечения необходимых ресурсов по реализации крупных долгосрочных целей. Регионы среднего и низкого ранга и с низкой степенью комплексности развития не могут привлечь основные ресурсные параметры на реализацию «чисто региональных» целей, поскольку перед ними стоят более «весомые» цели глобального и межрегионального развития. Однако, как правило, все виды целей должны быть направлены на реализацию наиболее важных перспективных задач. «Мы всегда осуждали, — пишет В. И. Ленин, — и как марксисты обязаны осуждать тактику живущего «со дня на день». Нам недостаточно минутных успехов. Нам недостаточно и вообще расчетов на минуту или на день»<sup>13</sup>.

Региональные цели, как и общесоюзные, должны выражаться качественно и количественно. Всегда желательно выражение цели количественно, но в ряде случаев, когда это не удастся, цели выражаются качественно. Например, региональной целью могут быть повышение уровня обеспечения населения жилой площадью, повышение вклада региона в производство общественного продукта страны и т. д. Очевидно, что любое качественное состояние цели одновременно характеризуется количественной оценкой, однако речь идет о том, что его выявление не всегда становится возможным. Количественная характеристика цели осуществляется путем введения соответствующих единиц измерения, таких как натуральные, денежные, временные и др.

Все цели, в том числе и высшая цель социалистического производства одновременно имеют качественную и количественную определенность. Качественно высшая цель означает повышение благосостояния и всестороннего развития всех членов общества, а количественное определение означает численное измерение качественной стороны цели производства. Качественная сторона высшей цели социалистического производства на всех этапах социалистического строительства остается постоянной, принципиально неизменной, а ее количественная сторона может меняться и проявить свою специфику на отдельных этапах, исходя из сложившейся экономической и политической ситуации.

Общая социально-экономическая цель региона всегда сопровождается частными целями, которые выступают как отдельные этапы или составные компоненты общей цели. Так, например, если общей целью со-

<sup>12</sup> Ленин В. И. Полн. собр. соч., т. 29, с. 125.

<sup>13</sup> Там же, т. 34, с. 257.

циально-экономического развития региона является увеличение доли производства национального дохода в союзном фонде, то в качестве частных целей могут выступить минимизация материальных затрат, улучшение качества продукции и т. д. Наряду с такими частными целями первого порядка возникают побочные цели, разрешаемые наряду с целями первого порядка и общей целью. Например, такими могут быть улучшение производственной инфраструктуры в регионе и т. д.

В региональной социально-экономической системе все виды целей взаимосвязаны между собой. Более того, цели одного вида или уровня часто выступают как средство достижения другой цели. «...Краткосрочные тактические цели выступают в качестве средства достижения долгосрочных стратегических целей, локальные, региональные цели выступают в качестве средства достижения общегосударственных целей; цели нижнего уровня выступают в качестве средства достижения целей более высокого уровня»<sup>14</sup>. Однако описанная форма отношений между целями вовсе не означает, что каждая из них не имеет определенной самостоятельности. Цель любого уровня направлена в первую очередь на решение задач, стоящих внутри той системы, в адрес которой сформулирована цель, а ее достижение будет способствовать реализации целей другого уровня и т. д. В ряде случаев один вид цели входит целиком (а не частично) в другой и таким образом получается единая органически связанная система социально-экономических целей, которую можно описать с помощью сценария («дерево цели») будущего развития. Фрагмент «дерево цели» социально-экономического развития Грузинской ССР на долгосрочную перспективу представлен на рис. 2.

Формирование сценария будущего на любом уровне иерархии народного хозяйства весьма сложная задача, она еще сложнее на макроуровне экономики. «Для решения этой задачи следует учесть возможный экономический, научно-технический и военный потенциал, а также потенциал биологической среды, произвести оценку развития социальных процессов и оценку социально-политической ситуации будущего»<sup>15</sup>.

Сценарии регионального развития должны качественно характеризовать будущее состояние социально-экономической системы с учетом возможностей со стороны ресурсных параметров. Для составления такого сценария необходимо, во-первых, определение сложившейся ситуации региональной системы, включая причинно-следственный анализ и выявление ограниченных факторов и условий, во-вторых — описание возможных вариантов перспективного развития региональной системы и, в-третьих — определение мер, способов и сроков достижения перспективной цели. Определяя сценарий будущего развития региональной социально-экономической системы, следует приступить к формированию «дерева целей», представляющего собой формализованную структуру различных целей, расставленных поэтапно, сверху вниз, таким образом, чтобы достижения нижеследующих целей обеспечивали достижение целей вышестоящих.

Здесь возникает очень важная и трудная задача — определение приоритета целей. Наиболее важные, более приоритетные цели должны решаться в первую очередь, направляя к ним в этом же порядке ресурсы, а менее важные — цели второго, третьего и т. д. порядка следует реализовывать по мере возможности. Соответственное упорядочение целей следует проводить путем их ранжирования — определения количественных

<sup>14</sup> Комплексное народнохозяйственное планирование. М., 1974, с. 67.

<sup>15</sup> Аганбегян А. Г., Багриновский К. А., Гранберг А. Г. Система моделей народнохозяйственного планирования. М., 1972, с. 70.




Рис. 2. Фрагмент укрупненной структуры «дерево цели» социально-экономического развития Грузинской ССР на долгосрочную перспективу



характеристик относительной важности (степени) отдельных целей. Для этой цели разработаны метод попарных сравнений, метод последовательных сравнений и др. На наш взгляд, определения приоритета целей лучше всего проводить путем введения весовых коэффициентов в пределах от 0 до 1. Наиболее важные цели принимают значение ближе к единице, а менее важные — ближе к нулю. В условиях программно-целевого подхода в планировании цели, заложенные в программах, принимают значение ближе к единице, а остальные внепрограммные цели — ближе к нулю.

Таким образом, формирование системы целей социально-экономического развития региона представляет собой важный этап в процессе составления прогнозов и планов на всех уровнях иерархии народного хозяйства. Правильное их формирование способствует повышению научной обоснованности народнохозяйственных планов и прогнозов, эффективному использованию ресурсов различного вида и тем самым повышает эффективность общественного производства. Формирование региональных целей увеличивает научный уровень территориальных планов и прогнозов и способствует оптимальному согласованию общесоюзных, отраслевых и территориальных интересов.

Представлена отделом экономических проблем научно-технического прогресса Института экономики и права АН ГССР

### ნათელა შიოლაშვილი

## ზაზის სანერგე მიწურნეობის განვითარება საბჭოთა საქართველოში (1921—1945 წწ.)

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ დასაბამი მისცა პირველი მსოფლიო ომისა და მენშევიკების ბატონობის პერიოდში გაჩანაგებული სახალხო შეურნეობის აღდგენა-განვითარებას.

საქართველოს მიწსახკომმა, მისი შესაბამისი განყოფილებების ხაზით გაატარა რიგი პრაქტიკული ხასიათის ღონისძიებები მევენახეობის კატასტროფიული მდგომარეობის სალიკვიდაციოდ. მთავრობამ გამოყო დიდძალი კრედიტები, როგორც მევენახეობის კოოპერაციული გაერთიანებისათვის, ისე შევეხახე გლეხებისათვის. მიწოდებულ იქნა საჭირო შხამქიმიკატები, სეტყვის საწინააღმდეგო საშუალებები და ა. შ. მაგრამ, ვაზის დაავადება-ფილოქსერა ძთელი საშინელებით მიიწვედა წინ. საქართველოს მიწსახკომი აღნიშნული მდგომარეობიდან გამოსავალს ვაზის სანერგე შეურნეობის აღდგენა-განვითარებაში ხედავდა.

მიწსახკომმა თელავში ჩამოაყალიბა მევენახეობა-მეღვინეობის საცდელი სადგური რომელმაც წელიწადნახევარი იარსება. მან კახეთის თითქმის ყველა რაიონში გამოიკვლია ნიადაგები, შეადგინა სპეციალური რუქები, გააფართოვა სახელმწიფო სანერგე შეურნეობები ჩუმლაყში, კონდოლში და იყალთოში. მაგრამ, ჩატარებულ ღონისძიებათა ეფექტურობა უფრო ნაკლები იყო, ვიდრე ფილოქსერით მიყენებული ზიანი. მარტო კონდოლში, ახაშენში, ვეჯინში, ველისციხეში, წინანდალში, ვარდისუბანსა და სხვა სოფლებში, ფილოქსერისაგან დაზიანდა ვენახის 50 პროცენტი. უფრო მეტად დაზიანდა იყალთოს, რუისპირის, კურდღელაურის, ვაჩნაძინის, სანიორესა და ნაფარეულის ვენახები.

1922 წ. 2 ოქტომბერს ს. წინანდალში მოეწყო კახეთის მევენახეთა თათბირი, სადაც აღინიშნა, რომ თუ ფილოქსერას წინააღმდეგ მიღებული არ იქნებოდა გადამჭრელი ზომები, მომავალში იგი ვენახს გაანადგურებდა „გეომეტრიული პროგრესის გზით, რაც გამოიწვევდა ვენახის განადგურებას 6—7 წლის განმავლობაში“<sup>1</sup>. ამიტომ, თათბირი საჭიროდ თვლიდა არა უგვიანეს 10 წლის განმავლობაში მთლიანად შეცვლილიყო ვენახის ფართობები ფილოქსერაგამძლე ამერიკული ვაზით. ამ მიზნით, საჭირო იყო ვენახების ყოველ წელს გაშენება — განახლება არანაკლებ 1,5 ათას ფართობზე.

სადედეები უნდა გაშენებულიყო იყალთოში 30, ჩუმლაყში — 50, დამარხიხოში — 100, კურდღელაურში — 40, ვაჩნაძინში — 30, გურჯაანში — 20, ბაკურციხეში — 40, კარდანახში — 40, ალაზნის გაღმა პირას — ყვარელ-ნაფარეულში — 40 დესეტინაზე<sup>2</sup>.

<sup>1</sup> საქ. სსრ, ორცა, ფ. 288, აღწ. 1, საქ. 287, ფურ. 165.

<sup>2</sup> იქვე, ფურ. 168.

მიწსახკომთან არსებულ საცდელ საქმეთა ქვეგანყოფილებას ექვემდებარებოდა 12 სხვადასხვა კულტურულ-საცდელი სამეცნიერო დაწესებულება: საქარის საცდელი სადგური, აჯამეთის საცდელი მინდორი, ბათუმის ბოტანიკური ბაღი, ქართლის სახალხო მამული, ყარაიაზის საცდელი სადგური და სხვ.<sup>3</sup>

მართალია ყველა ეს საცდელი სადგური, მოცემულ პერიოდში, მნიშვნელოვან მუშაობას აწარმოებდა სანერგე მეურნეობის განვითარების მიმართულებით, მაგრამ ისინი არ წარმოადგენდა წმინდა მეცნიერულ-კვლევით ორგანიზაციებს. ამიტომ იყო, რომ წლების განმავლობაში ჯერ კიდევ ახალი ვენახების გაშენება წარმოებდა არა მეცნიერულად დასაბუთებული მითითების საფუძველზე, არამედ ხშირად ისევ დაუბუნელი ვაზით, ადგილობრივი ვაზის საძირეების შიხედვით, რამაც თავისი უარყოფითი დადი დაასვა 20-იანი წლების შეგენახეობას ჩვენს რესპუბლიკაში. 1921 — 1922 წწ. რესპუბლიკაში მხოლოდ 32,2 ჰექტარ ფართობზე იქნა მოწყობილი ამერიკული ვაზის სადედეები. მ. შ. სახელმწიფო მამულების ტრესტის ხაზით — 25,6 ჰექტარზე, კოოპერაციული ორგანიზაციების ხაზით — 3,3 ჰექტარზე, ხოლო სამაზრო აღმასკომის ხაზით — 3,3 ჰექტარზე. 1922 — 1923 წლებში კი სადედეები შეიქმნა 17,6 ჰექტარ ფართობზე, მ. შ. „სახმამტრესტის“ ხაზით — 9,9 ჰექტარზე, კოოპერაციული ორგანიზაციებისა და ამხანაგობის ხაზით — 3,5 ჰექტარზე და სამაზრო აღმასკომების ხაზით — 2,2 ჰექტარზე<sup>4</sup>.

ამერიკული ვაზის სადედეების ფართობის ზრდა, ნელი ტემპით, მაგრამ მაინც მიმდინარეობდა. ასე მაგ. 1923 — 24 წლებში მისი ფართობი გადიდა 32,8 ჰექტარით (მ. შ. „სახმამტრესტის“ ხაზით — 14,3 ჰა, კოოპერაციული ორგანიზაციების ხაზით — 10,9 ჰა და სამაზრო აღმასკომების ხაზით — 4,4, ხოლო კერძო პირების ხაზით — 2,2 ჰა), ხოლო 1924 — 1925 წლებში — 99,6 ჰექტარით (მ. შ. საქართველოს მიწსახკომის ხაზით — 4,4 ჰა, „სახმამტრესტის“ ხაზით — 62,8 ჰა, კოოპერაციული ორგანიზაციების ხაზით — 21,9 ჰა, სამაზრო აღმასკომების ხაზით — 3,3 ჰა, ხოლო კერძო პირების მხრივ — 3,2 ჰა)<sup>5</sup>.

აღსანიშნავია, რომ გარდა საზოგადოებრივი მეურნეობისა, ნამყენი ვაზის ფართო გავრცელებით დაინტერესებული იყვნენ თვით გლეხური ინდივიდუალური მეურნეობებიც. „სახმამტრესტის“ მევენახეობა-მელვინეობის განყოფილების ინსტრუქტორი ი. შოშიაშვილი 1926 წლის 24 მაისის თარიღით შედგენილ მოხსენებით ბარათში წერდა: „საზოგადოდ, კახეთის გლეხობა გატაცებით ეკიდება ვენახის აღდგენის საქმეს, განსაკუთრებით წინანდლის და შაშიანის რაიონი“<sup>6</sup>.

1925-1926 წლებში რესპუბლიკაში მოეწყო ვაზის ახალი სადედეები 114,3 ჰა ფართობზე (მ. შ. მიწსახკომის ხაზით — 4,4 ჰა, „სახმამტრესტის“ — 74,4 ჰა, კოოპერაციული ორგანიზაციების — 22,4 ჰა, სამაზრო აღმასკომის — 2,2 ჰა).

საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ა. გეგეჭკორი 1927 წელს წერდა: „ამერიკული ვაზის სანერგე უკანასკნელი 5 წლის (1923-1927 წწ.)

<sup>3</sup> იქვე, საქ. 680, ფურ. 8.

<sup>4</sup> 6. ალექსიძე, საძირე ვაზის სადედეებისა და ნამყენი ვაზით ვენახების გაშენება საქართველოში, თბ., 1956, გვ. 72.

<sup>5</sup> საქ. სსრ ორცხა, ფ. 288, აღწ. 1, საქ. 1338, ფურ. 14.

<sup>6</sup> საქ. სსრ ორცხა, ფ. 288, აღწ. 1, საქ. 1625, ფურ. 68.

5. „მაცნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1984, № 2



განძვლობაში რესპუბლიკაში გაშენდა 183,6 ჰექტარ სივრცეზე, აგებულია 9 სათბური. 5 წლის განმავლობაში მიღებულია 9,8 მილიონი ნამყენი ვაზი, საზღვარგარეთიდან გამოწერილია 3,6 მილიონი მეტრი ლერწი. ჩვენი მიღწევები ამ დარგში მით უფრო მნიშვნელოვანია, პირდაპირ სარეკორდო ხასიათისაა. თუ გავიხსენებთ, რომ მთელს საქართველოში, გასაბჭოების დროს ვაზის ყველა სანერგეების საერთო სივრცე სულ — 14 დესეტინას შეადგენდა, საბჭოთა ხელისუფლებამ 7 წლის განმავლობაში 19-ჯერ მეტი გააკეთა, რაც ამ დარგში მანამდე ოდესმე გაკეთებულა<sup>7</sup>.

1926 წლის ბოლოსათვის, ვაზის სადედეების ფართობი საქართველოში არსებულ 25 პუნქტში შეადგენდა 253,2 ჰექტარს. აქედან: ჩუმლაყში — 43,5, ვაზისუბანში — 40, კონდოლში — 27,8, იყალთოში — 19,7 დამარჩინოში — 18,6, გურჯაანში — 14,6, წნორის წყალში — 14,2, აღიანში — 12,0 ჰექტარს და ა. შ.

თუ როგორ მიმდინარეობდა საქართველოში ვაზის სადედეების მშენებლობა ამას გვიჩვენებს შემდეგი მონაცემები (იხ. ცხრილი 1).

მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ 1921-22 წლებში ვაზის სადედეებს აშენებდნენ: სახალხო მამულების ტრესტი, კოოპერაციული ორგანიზაციები და ამხანაგობები და ადგილობრივი სამაზრო აღმასკომები.

ცხრილი 1

ამერიკული ვაზის სადედეების მშენებლობა საქართველოს სსრ-ში 1921 — 1926 წწ. (ჰა)<sup>8</sup>.

მშენებელი ორგანიზაციები	წლები						სულ
	1921-22	1922-23	1923-24	1924-25	1925-26	1926-27	
საქ. სსრ მიწსახოპი	—	—	—	4,4	4,4	2,2	11,0
„სახამტრესტი“	25,6	9,9	15,3	62,8	14,3	17,5	205,5
კოოპერაციული ორგანიზაციები და ამხანაგობები	3,3	3,5	10,9	21,9	22,4	8,0	74,0
სამაზრო აღმასკომები	3,3	2,2	4,4	3,3	2,2	2,2	17,6
კერძო პირები	—	—	2,2	3,2	10,2	15,4	31,7
სულ	32,8	17,6	32,8	95,6	114,3	45,3	328,8

ხოლო შემდეგ წლებში, ვაზის სადედეებს აშენებდნენ, ერთის მხრივ, თვით სოფლის მეურნეობის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი და, მეორეს მხრივ, კერძო მევენახე გლეხები. 1923 წლამდე რესპუბლიკაში უკვე მოწყობილი იყო ახალი სადედეები 50 ჰექტარამდე, მომდევნო პერიოდში კი ამ მიმართულებით უფრო ფართო მუშაობა გაიშალა. ასე მაგ.: 1923 წ. სოფ. ურიათუბანში (ვაზისუბანი) გაიხსნა მეორე სადედური, რომელსაც კახეთის მევენა-

<sup>7</sup> ა. გეგეჭკორი, „საქართველოს სოფლის მეურნეობა ოქტომბრის რევოლუციის 10 წლის თავზე“, ვაზ. „კომუნისტი“, 1927, № 253.

<sup>8</sup> საქ. სსრ ორცხა, ფ. 288, აღწ. 1, საქ. 2740, ფურ.

ხეობის საცდელი სადგური ეწოდა. 1921 წელს შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების გამომცდელი სადგური და სხვა. 1931 წ. კი თბილისში დაარსდა მევენახეობა-მელღინეობის ინსტიტუტი, რითაც უკვე საძირკველი ჩაეყარა საქართველოს მევენახეობა-მელღინეობის აღდგენას და შეიქმნა ყველა პირობა მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის გასაშლელად.

ვენახის მთლიანი ფართობი 1913 წელს არსებული 45000 ჰექტარიდან 1920 წ. 30 ათას ჰექტარამდე შემცირდა. ხოლო, 1924-25 წლებში მან მხოლოდ 34.260 ჰა შეადგინა. ე. ი. ომამდელ პერიოდთან შედარებით შემცირდა 10.740 ჰექტარით, ანუ დაახლოებით 20 პროცენტით. ვენახის სანერგე მეურნეობამ კი არა თუ აღადგინა ომამდელი დონე, არამედ გადაჭარბა კიდევ. საქართველოს სსრ მიწსაჯგომის მევენახეობა-მელღინეობის ინსპექტორი ვ. ბიბილაშვილი, აღწერდა რა რესპუბლიკის მევენახეობის მდგომარეობას, 1927 წლის 18 მაისს წერდა, რომ ფილოქსერაგამძლე ვაზის ფართობის გაშენება საქართველოში სულ უფრო ზრდას განიცდის, უკანასკნელ წლებში მან 1701 ჰექტარი შეადგინა, ხოლო მომავალში მისი ფართობი უფრო გაიზრდება.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმა, სოფლის მეურნეობის მაპროფილებელი დარგებიდან, განსაკუთრებულ ადგილს უთმობდა რესპუბლიკაში მევენახეობის განვითარებას. 1928-1931 წლებში გეგმით გათვალისწინებული იყო ახალი ვენახის გაშენება 10.758 ჰექტარ ფართობზე (მ. შ. 1928-1929 წწ. — 1471 ჰა, 1929-30 წ. — 1.888 ჰა, 1930-31 წ. — 2.160 ჰა, 1931-32 წ. — 2.491 ჰა და 1932-33 წ. — 2.748 ჰა). იმავე პერიოდში, ნამყენის საერთო რაოდენობას უნდა შეედგინა 135.247 ათასი ცალი, რომელთაგან სათბურებში გატარებული იქნებოდა 101.433 ათასი ცალი, ანუ 75%, ხოლო დანარჩენი 25% უშუალოდ მიღებული იქნებოდა ნიადაგში.

თუ საბჭოთამდელ საქართველოში ფილოქსერაგამძლე ნამყენი ვაზით გაშენებული ვენახების ხვედრითი წონა ყველაზე მაღალი იყო იმერეთში, იგი უდრიდა 80%-ს (რაჭა-ლეჩხუმში — 30%, ქართლში — 1%, კახეთში — 0,9%, ხოლო დანარჩენ რაიონებში — 3%), პირველი ხუთწლედის შემდეგ ამ მხრივ მდგომარეობა საფუძვლიანად შეიცვალა. კერძოდ, კახეთის რაიონებში ასეთ ვენახებს უნდა დაეკავებინა 70%. საკუთრივ ეს გეგმა ითვალისწინებდა ამერიკული ვაზის სადღედეების მოწყობას 215 ჰა ფართობზე (მ. შ. 1928-29 წწ. — 70, 1929-30 წწ. — 50, 1930-31 წ. — 40, 1931-32 წ. — 30 და 1932-33 წ. — 25 ჰა). ხუთწლედის დასაწყისში ამ სადღედეებს უნდა მიეცა 2.820 ათასი მეტი ლერწი, ხუთწლედის ბოლოს კი — 10.675 ათასი მეტრი. მთლიანად ხუთწლედში კი 35.355 ათასი მეტრი. მაგრამ, ვინაიდან იგი ვერ დააკმაყოფილებდა მოთხოვნილებას, ნავარაუდევო იყო ლერწის შემოტანა ხუთწლედში 27 მლნ მეტრის ოდენობით. ხუთწლედის დასაწყისში სულ 18 სათბური იყო, ხუთწლედში კი ნავარაუდევო იყო 23 ახალი სათბურის მოწყობა, რომელიც ხაცვლად 5.264 ათასისა, მოგვეცემდა 13.400 ათას ცალ ნამყენს<sup>9</sup>. აღნიშნულ საქმეშათა შესრულება ბუნებრივია დიდ შრომასა და გარჯას მოითხოვდა. ხუთწლედში სახელმწიფო სათბურების მოსაწყობად მარტო კაპიტალდაბანდებათა თანხა გამოიყო 725 ათასი მანეთი (მ. შ. პირველი წლისათვის — (ათასი მან.) 255, მეორე წლისათვის — 175, მესამესათვის — 125, მეოთხესათვის —

<sup>9</sup> საქ. სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის არქივი, საქ. 29, ფურ. 30.

100 და მეხუთე 1932 წლისათვის — 100<sup>10</sup>). მაგრამ, ხუთწლიანი გეგმის შესრულება, როგორც მთლიანად მევენახეობის განვითარებას, ისე ვაზის სანერგე მეურნეობის მოწყობის მხრივ, არაღამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა.

განსაკუთრებით ნელი ტემპით მიმდინარეობდა, მოცემულ პერიოდში, ამერიკული ვაზის სადედეების მოწყობის საქმე. თუ 1927-28 წ. გაშენდა 344 ჰექტარი სადედე, 1928-29 წ. მისი გაშენება მთლიანად შეწყდა 1929-30 წ. კი გაშენდა 250 ჰექტარ ფართობზე.

პირველი ხუთწლედის მთელ მანძილზე ვენახების აღდგენისა და განვითარების შემადგერხებელი მიზეზი იყო „კვლავ დასარგავი მასალის სიმცირე და ნაძყენის დამზადების სიძნელე... ამ დაბრკოლებათა გადალახვა, იმიტომ ძნელდებოდა, რომ სოფლის მეურნეობისა და კერძოდ მევენახეობის კოლექტივიზაცია საქართველოში ერთობ ნელა მიმდინარეობდა“<sup>11</sup>.

პირველი ხუთწლედის ბოლოს ამერიკული ვაზის სადედეების ფართობმა რესპუბლიკაში შეადგინა სულ 416,4 ჰექტარი, ხოლო ლერწის გამოსავლიანობამ 14.800 ათას მეტრს მიაღწია, დაიშენა სულ 7.850 ათასი ცალი და მიღებულ იქნა 1-ლი ხარისხის ნაძყენი 1.520 ათასი ცალის ოდენობით.

მეორე ხუთწლიანი გეგმით ვენახის მთლიანი ფართობი 1933 წ. არსებულ 39 ათასი ჰექტრიდან უნდა გადიდებულიყო 60 ათას ჰექტრამდე.

ამ უდიდესი პერსპექტივების განხორციელებისათვის სრულიად შეუფერებელ მდგომარეობაში იყო ამერიკული ვაზის სადედე და სანერგე მეურნეობა. ამერიკული ვაზის ლერწი (რქა) სრულიად არ იყო საკმარისი სამცნობ მასალად. საქართველოს მევენახეობის ზემოაღნიშნული ტემპით განვითარებისათვის საჭირო იყო დაახლოებით 2.000 ჰექტარი ამერიკული ვაზის სადედე და ეს მაშინ თუ ერთ ჰექტარზე მივიღებდით 40-50 ათას მეტრ სამცნობლად ვარგის ლერწს, ე. ი. თუ სულ მთელი პროდუქცია მიაღწევდა 80-100 მილიონ მეტრს. ამ ხანებში კი ამერიკული ვაზის სადედეებიდან მიიღებოდა 7-8 მილიონი მეტრი ამერიკული ვაზის ლერწი. ე. ი. მოთხოვნილებაზე 10—15-ჯერ ნაკლები<sup>12</sup>.

ამ საქმეში გარდატეხის მიღწევისა და მევენახეობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შემდგომი ზრდის უზრუნველსაყოფად, რესპუბლიკის სახკომსაბჭოს დადგენილებით, 1933 წლის შემოდგომაზე გასაშენებელი ვენახების გეგმა საბჭოთა მეურნეობებში 2.000 ჰა ფართობზე განისაზღვრა, ხოლო ვაზის სადედეების ფართობი — 293 ჰა-ზე. მაგრამ ეს გეგმა არ შესრულდა. თუ 1931 წ. რესპუბლიკაში გაშენდა სულ 1.584 ჰა ახალი ვენახი (მ. შ. საბჭოთა მეურნეობებში — 559 ჰა, კოლმეურნეობებში — 437 ჰა და ინდივიდუალურ მეურნეობებში — 588 ჰა), ხოლო 1932 წელს 1186 ჰა (მ. შ. საბჭოთა მეურნეობებში — 456 ჰა, კოლმეურნეობებში — 222 ჰა და ინდივიდუალურ მეურნეობებში — 508 ჰა), 1933 წელს ფაქტიურად გაშენებულ იქნა 1193 ჰექტარი ვენახი (მ. შ. საბჭოთა მეურნეობებში — 282 ჰა, კოლმეურნეობებში — 355 ჰა ინდივიდუალურ მეურნეობებში — 556 ჰა).

ახალი ვენახების გაშენებასთან ერთად, წყობიდან გამოდიოდა ფილოქსერით დაავადებული და მოზერებული, რის გამოც ვენახების ზრდამ 1933 წელს

<sup>10</sup> საქ. სსრ ორცა, ფ. 288, აღწ. 1, საქ. 3259, ფურ. 50.

<sup>11</sup> ნ. იაშვილი, მევენახეობის განვითარების დინამიკა საქართველოს სსრ-ში, ეფე, 1955, გვ. 67.

<sup>12</sup> იქვე, გვ. 74.





შეადგინა არა 1193 ჰექტარი, არამედ 402 ჰექტარი. მთლიანად რესპუბლიკაში კი მისმა ფართობმა შეადგინა 39.494 ჰა, ნაცვლად 1932 წ. 39.092 ჰექტარისა. ამავე დროს, თუ 1931 წელს ამერიკული ვაზის სადედე გაშენებული იყო 40 ჰექტარ ფართობზე, 1933 წელს გაშენდა 178 ჰექტარზე<sup>13</sup>.

1933 წლის 29 დეკემბერს საქართველოს სსრ მიწსახკომმა დასახა ღონისძიება რათა 1934 წელს ამერიკული ვაზის სადედეების ფართობი აყვანილიყო 800 ჰექტარამდე, რასაც ყოველწლიურად უნდა უზრუნველყო ნაშენი მასალით 7.000 ჰა ვენახის გაშენება. მაგრამ, ამერიკული ვაზის სადედეების გაშენება ერთობ ნელი ტემპით მიმდინარეობდა. სულ საქართველოში 1933 წლისათვის იგი გაიზარდა 201,23 ჰექტარით (მ. შ. აღმოსავლეთ საქართველოში — 13,73 ჰექტარით), ხოლო 1934 წ. მისმა ზრდამ შეადგინა მხოლოდ 41,47 ჰექტარი (მ. შ. აღმოსავლეთ საქართველოში — 29,23 და დასავლეთ საქართველოში — 12,24 ჰა)<sup>14</sup>.

ვენახებისა და ამერიკული ვაზის ნარგავების გაჯანსაღების მიზნით, საქართველოს სსრ მიწსახკომის 1936 წლის 23 იანვრის დადგენილებით „სამტრესტს“ ნება დაერთო ამოეძიკვა მის სისტემაში შემავალ საბჭოთა მეურნეობებში არსებული არარენტაბელური (გადაბერებული და ფილოქსერიით დაავადებული) ვენახები: წინანდლის საბჭოთა მეურნეობაში — 11,72 ჰა; მუკუშნის საბჭოთა მეურნეობაში — 2,85 ჰა; ყვარლის საბჭოთა მეურნეობაში — 7,6 ჰა; ვიაურარხში — 3,25 ჰა; მუხრანში — 7,48 ჰა; ვაჭირში — 26,9 ჰა; ვარციხეში — 2,31 ჰა; თერჯოლის დამზადების წერტში — 4,88 ჰა; არგვეთის საბჭოთა მეურნეობაში — 26,98 ჰა; სულ — 69,76 ჰექტარი. იქვე მითითებული იყო, რომ გაუქმებული ვენახების ნაკვეთებიდან ამორჩეულიყო ვარგისი ნაშენი და იგი გამოეყენებინათ დარჩენილი ვენახების შესავსებად.

როგორც ვხედავთ, მევენახეობისა და საკუთრივ სანერგე მეურნეობების განვითარების მიზნით, რესპუბლიკაში გაიშალა სათანადო მუშაობა, მაგრამ იგი მაინც არ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას, რადგან მიღებული ღონისძიებები არ იყო საკმარისი.

გაითვალისწინა რა ეს მდგომარეობა, სსრკ სახკომსაბჭომ და საკ. კბ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1936 წლის 28 ივლისს მიიღეს ისტორიული დადგენილება საქართველოში მევენახეობისა და ხარისხოვანი შეღვინეობის განვითარების თაობაზე. ამ დადგენილებით ვენახის მთლიანი ფართობი ჩვენს რესპუბლიკაში ყველა სექტორის მიხედვით 1940 წლისათვის აყვანილი უნდა ყოფილიყო 60 ათას ჰექტარამდე. ამ მიზნით, 1936-1940 წლებში უნდა გაშენებულიყო 28 ათასი ჰექტარი ვენახი. ამერიკული ვაზის სადედეთა ფართობი 1936 წლის 757 ჰექტარიდან 1937 წლისათვის უნდა გადიდებულიყო 1057 ჰექტარამდე. ამასთან, ჰექტარ სრულმოსავლიანი პლანტაციიდან უნდა მიეღოთ არანაკლებ—42 ათასი ცალი ფილოქსერაგამძლე ვაზის სტანდარტული (120 სანტიმეტრიანი) ლერწი. დადგენილებით 1937-40 წწ. კოლმეურნეობებში უნდა აგებულიყო 120 სათბურთი 48 მლნ ცალი ნერგის გამტარუნარიანობით<sup>15</sup>.

მართალია მეურნეობები სთანადო ზომებს იღებდნენ ვაზის სანერგე მეურნეობის გასაუმჯობესებლად, მაგრამ ნაშენის მიღების გეგმები მაინც არ სრულ-

<sup>13</sup> შურ. „საქ. სოც. მეურნეობა“, 1933, № 12, გვ. 43—44.

<sup>14</sup> საქ. სსრ ორცსა, ფ. 288, აღწ. 1, საქ. 3319, ფურ. 7.

<sup>15</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1936, § № 176.

დებოდა. კერძოდ, 1937 წ. ნამყენის მიღების გეგმა შესრულდა 87%-ით, ლერწის გამოსავლიანობამ, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 59 პროცენტისა, შეადგინა 23 პროცენტი, რაც უმთავრესად აიხსნებოდა საფრანგეთიდან მიღებული დაბალი ხარისხის სანამყენე მასალით, ასევე არ შესრულდა ამერიკული ვაზის სადღეღების გეგმაც, მაგალითად, 3,44 ჰა. სადღეღებში მიღებული იქნა სულ 98,8 ათასი მეტრი ლერწი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 107,2 ათასი მეტრისა. თუ ნამყენი ლერწის საგეგმო თვითღირებულება ითვალისწინებდა 1,08 კაპ. მან ფაქტიურად შეადგინა 2 მანეთი, ე. ი. 92%-ით მეტი<sup>16</sup>.

1938 წლისათვის რესპუბლიკაში ვაზის სადღეღების ფართობი რეგიონების მიხედვით ასე გამოიყურებოდა (იხ. ცხრილი 2).

მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ 1938 წლისათვის ამერიკული ვაზის სადღეღებს ყველაზე დიდი ფართობი ეკავა იმერეთში (31,5%), მეორე ადგილი ეკავა კახეთს (29,1%), ხოლო მესამე ადგილი ბორჩალო-ლუქსემბურგის რაიონებს (20,9%). ასევე, მოსავლიანი სადღეღების მხრივაც პირველი ადგილი იმერეთს, მეორე კახეთს და მესამე ბორჩალო-ლუქსემბურგს ეკავა. რაც შეეხება საზოგადოებრივ მეურნეობას, ამ მხრივ პირველი ადგილი ეკავა კოლმეურ-

ცხრილი 2

ამერიკული ვაზის სადღეღების ფართობი რესპუბლიკაში რეგიონების მიხედვით 1938 წ. ჰა<sup>17</sup>

№№	მევენახეობის რაიონების დასახელება	სულ			სექტორების მიხედვით		
		ფართობი	მისი ხედილობითი წილი %	სრულმოსავლიანი ფართობები	კოლმეურნობები	საბჭოთა მეურნეობები	სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები
1	კახეთი	294,34	29,1	157,1	203,46	78,61	12,27
2	ვარკეთილი-კახეთი	26,15	2,6	0,25	26,09	—	0,06
3	ბორჩალო-ლუქსემბურგი	212,13	20,9	190,7	45,39	162,89	3,85
4	ქართლი და სამხრეთ ოსეთი	31,75	3,1	13,42	28,31	2,44	—
5	იმერეთი	319,28	31,5	99,07	259,94	51,07	8,27
6	რაჭა-ლეჩხუმი	18,39	1,8	5,66	17,92	—	0,87
7	გურია და აჭარა	20,89	2,1	1,53	20,04	0,45	0,34
8	სამეგრელო	59,63	5,3	33,54	51,27	—	2,36
9	აფხაზეთი	36,24	3,6	22,74	13,5	22,74	—
	სულ	1013,2	100	523,9	665,92	319,2	28,08

<sup>16</sup> „სამტრესტის“ საუწყებო არქივი, ფ. 1, აღწ. 1, საქ. 2260, ფურ. 19.

<sup>17</sup> ს. ჩოლოყაშვილი, ი. რ. ცხილაძე, საქართველოს მევენახეობა და მისი განვითარების პერსპექტივები, თბ., 1939, გვ. 41,

ნეობებს (665,92 ჰა); მეორე საბჭოთა მეურნეობებს (319,2%) და მესამე სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს (28,08 ჰა).

მესამე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა ახალი ნაძევი ვენახის გაშენებას 2.505 ჰექტარ ფართობზე (მ. შ. 1938 წ. — 3.510, 1939 წ. — 3.600, 1940 წ. — 5.200, 1941 წ. — 6.230 და 1942 წ. — 6.510 ჰა). სულ მესამე ხუთწლიელში, გეგმით მიღებული უნდა ყოფილიყო 274.588 ათასი ცალი ნაძევი ვაზი (მ. შ. 1938 წ. — 37.560; 1939 წ. — 37.079; 1940 წ. — 52.755; 1941 წ. — 56.808 და 1942 წ. — 90.390 ათასი ცალი). ამასთან, სანერგეებში პირველხარისხოვანი ლერწის გამოსავლიანობა უნდა გადიდებულიყო 50 პროცენტით, ნაცვლად 1935—1936 წლების 30%-ისა, ხოლო სათბურების გადიდება ნავარაუდები იყო 575,7 ჰექტარამდე<sup>18</sup>.

1939 წლის 25 იანვარს, საქართველოს სახკომსაბჭომ განიხილა რა მევენახეობის განვითარების საკითხი, აღნიშნა, რომ ვენახის სანერგე მეურნეობაში რესპუბლიკას გააჩნია მნიშვნელოვანი წარმატებები. კერძოდ, 1938 წელს აშენდა ვაზის 28 ახალი სათბური. მაგრამ, ამერიკული ვაზის ლერწის დამზადება შესრულებულ იქნა მხოლოდ 86,4%-ით. (მ. შ. კოლმეურნეობებში — 101,8%-ით, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში — 75,3%). რაც შეეხება სათბურებში პირველხარისხოვანი ნაძევის გამოსავლიანობას, მისი გეგმა ნაცვლად 40%-სა შესრულებულ იქნა 41,6 პროცენტით<sup>19</sup>.

მიუხედავად ზოგიერთი ნაკლოვანებებისა, ვაზის სანერგე მეურნეობა თანდათან ფეხზე დგებოდა და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევდა. ამის საუკეთესო დადასტურება იყო 1939 წელს რივი კოლმეურნეობათა მიერ სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეობის უფლების მოპოვება.

რესპუბლიკაში მევენახეობისა და საკუთრივ ვაზის სანერგე მეურნეობის განვითარების საქმეში, დიდი როლი შეასრულეს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ პ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 25 აპრილისა და 15 ოქტომბრის დადგენილებამ. ამ დადგენილებებით რესპუბლიკაში, 1944 წლისათვის, ვენახის ფართობი უნდა გადიდებულიყო 80 ათას ჰექტარამდე, რისთვისაც 1940—1944 წწ. უნდა გაშენებულიყო 31.870 ჰა ახალი ვენახი (მ. შ. 1940 წ. — 5.400 ჰა, 1941 წ. — 6.230 ჰა, 1942 წ. — 6.510 ჰა, 1943 წ. — 6.800 ჰა და 1944 წ. — 6.930 ჰა).

ვაზის სანერგეთა ფართობი უნდა გადიდებულიყო 205 ჰექტარით, ისე რომ 1944 წლის გაზაფხულისათვის მათი საერთო ფართობი აყვანილიყო 575 ჰექტარამდე<sup>20</sup>.

1940 წლის ვენახების რესპუბლიკური აღწერის შედეგად გამოირკვა, რომ ამ წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში გაცილებით მეტი (200%) ამერიკული ვაზის სადგე იყო გაშენებული, ვიდრე საბჭოთა მეურნეობებში, რაც საკოლმეურნეო მშენებლობის გაქანებით და ამ საქმეში კოლმეურნეობების დაინტერესებით უნდა აიხსნას. 1940 წლის ბოლოსთვის საქართველოს კოლ-

<sup>18</sup> საქ. სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს არქივი, ფ. 4, აღწ. 1, საქ. 133 ფურ. 80.

<sup>19</sup> საქ. სსრ ორცხა, ფ. 600, აღწ. 1, საქ. 352, ფურ. 22—23.

<sup>20</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1944, № 98.





მეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ვაზის სანერგე მეურნეობას მისდევდა სულ 677 მეურნეობა. აქედან, 669 კოლმეურნეობა და 8 სახელმწიფო მეურნეობა.

ყველაზე მეტი სანერგე მეურნეობა მდებარეობდა ორჯონიკიძის რაიონში (76), ზესტაფონში (56), ცაგერში (47), ჩხარში (42), გურჯაანში (26), თელავში (26) და ა. შ.

1940 წელს ვაზის ახალი სანერგეები ყველაზე მეტი რაოდენობით გაშენდა გურჯაანის (38,9 ჰა), ზესტაფონის (27,81 ჰა), თელავის (25,81 ჰა) და ყვარლის (23,83 ჰა) რაიონებში<sup>21</sup>.

ყოველივე ეს იმის დამადასტურებელია, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ძძლავრი ტემპით ვითარდებოდა მევენახეობა და მაშასადამე მტკიცე საფუძველი ეყრებოდა ვაზის სანერგე მეურნეობას, მაგრამ მისი ზრდა შეაჩერა დიდმა სამამულო ომმა.

სამამულო ომის პერიოდში, მუშახელის, შხამ-ქიმიკატების, აპარატურისა და სხვა საშუალებების ნაკლებობის გამო ვენახებსა და ამერიკული ვაზის სადედეებში დროულად და ხარისხიანად არ ტარდებოდა ძირითადი აგროტექნიკური ღონისძიებანი, რის შედეგად ილუპებოდა ეს ძვირფასი ნარგავები. მაგალითად, ყვარლის რაიონში დაიღუპა 114 ჰა ვენახი, თელავის რაიონში — 134, მცხეთის — 100, ჩხარის — 270, ბოლნისის — 150, გორის რაიონში 79 ჰექტარი და ა. შ.<sup>22</sup>

თუ რა კატასტროფულ მდგომარეობამდე იყო მისული ვაზის სანერგე მეურნეობა რესპუბლიკაში ამ პერიოდისათვის გვიჩვენებს ცხრილი 3.

მოტანილი ცხრილიდან ჩანს, რომ თუ ომამდე რესპუბლიკის ვაზის სანერგე მეურნეობებში ძილებულ იქნა სულ 48.706 ათასი ცალი ნამყენი, ომის პირველ წლებშივე იგი 2,5-ჯერ შემცირდა. 1943 წელს კი შემცირებამ ასტრონომიულ ციფრს მიაღწია, 1940 წელთან შედარებით იგი დაეცა 60-ჯერ და მეტად.

### ცხრილი 3

ვაზის სანერგე მეურნეობის განვითარება საქართველოს სსრ-ში 1940—1944 წლებში<sup>23</sup>

წლები	ნამყენის რაოდენობა (ათ. ცალ.)	მ. შორის სათბურებში მიღებული ნამყენი	ნაყოფის მომცემი სადედეების ფართობი (ჰა)	ჰექტარზე მიღებული ფილოქსერავამძლე საძირე მასალა (ათას ცალ.)	სულ სადედეებში მიღებული მასალა (ათ. ცალ.)
1940	48.706	24.300	293.0	24.0	7067.8
1941	19.444	—	169.0	23.4	3962.2
1942	19.400	—	—	არ მიუღიათ	—
1943	800	—	165.8	8.3	1480.0
1944	2.378	—	238.4	12.3	2949.0

<sup>21</sup> ვენახების 1940 წლის სრულად-საკავშირო აღწერის შედეგები საქართველოს სსრ-ში, თბ., 1941, გვ. 63.

<sup>22</sup> „სამტრესტის“ საუწყებო არქივი, ფ. 1, აღწ. 1, საქ. 3056, ფურ. 68.

<sup>23</sup> საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ფონდი № 110, გვ. 2—31.

1944 წელს კი მიღებული ნამყენის რაოდენობამ შეადგინა 2.378 ათასი ცალი, ე. ი. ომამდელ პერიოდთან შედარებით ერთიორად და მეტად ნაკლები. საბურთებში ნამყენის წარმოება მთლიანად შეწყდა.

თუ 1940 წელს ნამყენის მომცემი სადედეების ფართობი უდრიდა 293 ჰექტარს, 1941 წელს მან შეადგინა 169 ჰექტარი, 1943 წ. — 165, ხოლო 1944 წელს — 238,4 ჰექტარი.

1940 წელს ჰექტარ ფართობზე მიღებულ იქნა 24 ათასი ცალი ფილოქსერა-გამძლე საძირე, 1943 წელს იგი შემცირდა 8,3 ათასამდე, ანუ თითქმის სამჯერ, ხოლო 1944 წელს შეადგინა 12,3 ათასი ცალი.

სულ სადედეებში ომამდე 7 მლნ ცალზე მეტი საძირე იწარმოებოდა, 1944 წელს კი იგი შემცირდა 2.949 ათას ცალამდე, ანუ 2,3-ჯერ.

საერთოდ, ომის პერიოდში საფუძველი გამოეთხარა მევენახეობის სწრაფ განვითარებას, რის შედეგადაც არა მარტო ვაზის სანერგე მეურნეობა მოიშალა, არამედ მკვეთრად დაზიანდა ვაზის ძველი ნარგავობა — იგი თანდათან გამოდიოდა წყობიდან.

### Н. Ш. ШИОЛАШВИЛИ

## РАЗВИТИЕ САЖЕНЦЕВОГО ХОЗЯЙСТВА ВИНОВАРНЫХ ЛОЗ В ГРУЗИИ (1921—1945 гг.)

### Резюме

Установление Советской власти в Грузии положило начало восстановлению и развитию разрушенного народного хозяйства. Комитет земледелия Грузии соответствующими отделами провел ряд мероприятий практического характера по ликвидации катастрофического положения в виноградарстве и его саженцевом хозяйстве.

К концу первой пятилетки маточники американской лозы составили 416,4 га, а привито было 1520 шт.

По плану второй пятилетки общая площадь виноградников должна была увеличиться до 60 тыс. га, но этот план не был выполнен.

Наркомсовет СССР и ЦК ВКП(б) 28 июля 1936 г. приняли историческое Постановление о развитии в Грузии виноградарства и качественного виноделия: к 1940 г. общая площадь виноградников в республике должна была составить по всем секторам около 60 тыс. га. Площадь маточников американской лозы должна была возрасти до 1057 га.

Третий пятилетний план предусматривал разведение новой лозы на площади в 2505 га. Должны были получить 274 588 тыс. шт. привитой лозы.

В развитии саженцевого хозяйства лозы большую роль сыграли Постановления Наркомсовета СССР и ЦК ВКП(б) от 25 апреля и 15 октября 1940 г. Согласно им площадь питомников следовало увеличить до 205 га, так что к 1944 г. их общая площадь должна была составить 575 га, но их выполнение было прервано Великой Отечественной войной.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სოციალისტური ეკონომიკის გამოცდილების განზოგადებისა და ეკონომიკური აზრის ისტორიის განყოფილებამ

## ს ა მ ა რ თ ა ლ ი

კოზა ჭახუაძე

სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის ცნებისათვის

მომწიფებული სოციალიზმის პირობებში სამართლის პრინციპების მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება. ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, არის ის, რომ მთელი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების<sup>1</sup> სამართლებრივი საფუძვლის სულ უფრო მეტად განმტკიცება მოითხოვს კანონმდებლობის და მართლმსაჯულების წარმმართველი საწყისების გაშლა-გაფართოებას, მათი უნივერსალობისა და იმპერატიულობის ამღლებას. კანონისა და სამართლის ავტორიტეტი, ეს, უმთავრესად, მათში ჩაქსოვილი ძირითადი იდეების ავტორიტეტი.

სამართლის პრინციპებში გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებში, ძელავდება სამართლის კლასობრივი შინაარსი, გამოსჭვივის მისი სოციალურ-ზნეობრივი ბუნება. სამართლის პრინციპებში ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ ჩანს სოციალისტური სამართლებრივი სისტემის უპირატესობა ბურჟუაზიულთნ შედარებით, რაც მსოფლიოს ორი სისტემის იდეოლოგიური დაპირისპირების დღევანდელ პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იქნის.<sup>2</sup>

ამიტომ, სოციალისტური სამართლის, კერძოდ, კი სისხლის სამართლის პრინციპის ცნების განსაზღვრა, ამ ცნების შინაარსის გარკვევა, მისი ფუნქციონისა და მნიშვნელობის დადგენა, სამართლებრივი რეგულირების მექანიზმში დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხია.

ამ ნაშრომში ჩვენ შევეხებით სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპს, რომელიც საბჭოური სისხლის სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია.

იმ სისხლისსამართლებრივ სასჯელთა ქმედითობის ამღლების ამოცანა, რომლებიც თავისუფლების აღკვეთასთან არ არის დაკავშირებული, რაც გთვალისწინებულია საბჭოთა კავშირის უმღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წ. 26 ივნისის ბრძანებულებით „სისხლის სამართლის და შრომაგასწორებითი კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფისათვის“<sup>3</sup> უნდა გადაიჭრას სასჯელის ინდივიდუალიზაციის საფუძველზე ახალი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში. ამ შეთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის მნიშვნელობას, სამართლებრივი რეგულირების სისტემაში მისი ადგილის თეორიულ გააზრებასაც და პრაქტიკაში ამ პრინციპის განუხრებლ დაცვასაც.

სასჯელის ინდივიდუალიზაციას, როგორც სამართლის მნიშვნელოვან პრინციპს, ყოველთვის ექცეოდა სერიოზული ყურადღება. ამ პრინციპის აზრი თა-

<sup>1</sup> იხ. Материалы XXVI съезда КПСС, 1981, с. 146.

<sup>2</sup> Материалы Пленума ЦК КПСС, 14—15 июня 1983 г., М., 1983, с. 7.

<sup>3</sup> იხ. Ведомости Верховного Совета СССР, 1982, № 30, с. 572.



ვის დროზე გამოხატა კ. მარქსმა: «Если понятие преступления предполагает наказание, то действительное преступление предполагает определенную меру наказания<sup>4</sup>».

სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპს დიდ მნიშვნელობას აძლევდა ვ. ი. ლენინი. როცა საბჭოთა სახელმწიფოს დეკრეტებს ამზადებდა ან რედაქციას უკეთებდა, იგი სავალდებულოდ თვლიდა მიეთითებია სხვადასხვა სისხლისსამართლებრივ სასჯელთა გამოყენების შესაძლებლობაზე ჩანადენის საზოგადოებრივი საშიშროებისა და დამნაშავეის პიროვნების შესაბამისად.

მაგალითად, ფ. ძეგინისკისადმი 1917 წ. 7 დეკემბერს გაგზავნილ ბარათში, რომელშიც ეხებოდა კონტრრევოლუციონერებისა და შესაბოტაჟეების წინააღმდეგ ბრძოლის დეკრეტს, ვ. ი. ლენინი წერდა: «Лица, виновные в неисполнении настоящего закона... наказываются денежным штрафом до 5000 руб. за каждое уклонение, тюрьмой до 1 года или отправкой на фронт, смотря по степени вины.<sup>5</sup>»

უთითებდა რა იმის აუცილებლობაზე, რომ განსაზღვრული ყოფილიყო თვითეთელი თანამდებობის პირის ზუსტი პასუხისმგებლობა, ვ. ი. ლენინი მნიშვნელოვან პირობად თვლიდა, რათა «Ответственность... была совершенно точно и индивидуально установлена.<sup>6</sup>»

სასჯელის ინდივიდუალიზაციის ლენინური იდეა საფუძვლად უდევს სასჯელის ინდივიდუალიზაციის საკანონმდებლო პრინციპს და თანამიმდევრულად ტარდება ცხოვრებაში საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პირველივე დღიდან.

მაგალითად, 1919 წლის „რსფსრ-ის სისხლის სამართლის სახელმძღვანელო საწყისებში“, რომელიც შეიცავდა საბჭოური სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის კოდიფიცირებულ ნორმებს, მითითებული იყო, რომ „დანაშაულის ჩამდენზე ზემოქმედების ზომების განსაზღვრისას სასამართლო აფასებს თვითონ დამნაშავეის და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებისათვის საშიშროების ხარისხსა და ხასიათს (თვისებას)“ (პ. 11).

პირველ საბჭოურ სისხლის სამართლის კოდექსში (რსფსრ-ის 1922 წ. სსკ) სასჯელის ინდივიდუალიზაციის დებულება აისახა 24-ე მუხლში, სადაც ნათქვამია, რომ „სასჯელის ზომების განსაზღვრის დროს მხედველობაში მიიღება თვითონ დამნაშავეისა და ჩადენილი დანაშაულის საშიშროების ხარისხი და ხასიათი. ამის დასადგენად უნდა შესწავლილი იქნეს ჩადენილი დანაშაულის ვითარება, გამორკვეული იქნეს დამნაშავეის პიროვნება, რამდენადაც ეს გამოვლინდა მის მიერ ჩადენილ დანაშაულში და მის მოტივებში და რამდენადაც შესაძლებელია ამის გარკვევა დამნაშავეის ცხოვრების წესისა და წარსულის საფუძველზე, აგრეთვე უნდა დადგინდეს, თუ რამდენად არღვევს თვითონ დანაშაული დროისა და ადგილის მოცემულ პირობებში საზოგადოებრივი უსაფრთხოების საფუძველებს“.

ინდივიდუალური მიდგომის აუცილებლობა სასჯელის კონკრეტული ზომის განსაზღვრისას, ხაზგასმული იყო აგრეთვე პირველი სრულიად საკავშირო სისხლის სამართლის კანონითაც. მაგალითად, საბჭოთა კავშირისა და მოკავში-

<sup>4</sup> Маркс К. Энгельс Ф., Соч. т. I., с. 124.

<sup>5</sup> Ленин В. И. Полн. собр. соч., т. 35, с. 157.

<sup>6</sup> Там же. т. 45, с. 153.

რე რესპუბლიკების სისხლის სამართლის 1924 წლის კანონმდებლობის საწყისების 30-ე მუხლი ადგენდა, რომ „სასამართლოს მიერ სოციალური დაცვის ღონისძიებების განსაზღვრის დროს მხედველობაში მიიღება დამნაშავეისა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის საშიშროების ხარისხი და ხასიათი, დამნაშავეის პიროვნება, დანაშაულის მოტივები, აგრეთვე ის გარემოებაც, თუ რამდენად საზოგადოებრივად საშიშია თვითონ დანაშაული ადგილისა და დროის მოცემულ პირობებში“.

სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი აისახა აგრეთვე სხვა საკანონმდებლო აქტებშიც, კერძოდ, რსფსრ-ის 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსში (მ. 45) და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებშიც.

ამჟამად ეს პრინციპი ფიქსირებულია საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 32-ე მუხლში, რომელიც განსაზღვრავს სასჯელის დანიშვნის ზოგად საწყისებს. შესაბამისი დებულება გვხვდება ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში (რსფსრ-ის სსკ-ის 37-ე მუხ. საქართველოს სსრ სსკ-ის 37-ე მუხ.).

სასამართლო ორგანოების პრაქტიკულ საქმიანობაში სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის დაცვის აუცილებლობაზე არაერთხელ მიუთითა საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა თავის სახელმძღვანელო დადგენილებებში.<sup>7</sup>

სასჯელის ინდივიდუალიზაციის იდეის დამუშავება სისხლის სამართლის მეცნიერებაში კარგა ხნის წინათ დაიწყო. რევოლუციამდელ რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში ეს პრინციპი ჩამოაყალიბა ჯერ კიდევ ს. ბარშევმა, რომელიც წერდა იმ საშუალებათა შორის არსებულ განსხვავებებზე, დანაშაულთა დასასჯელად რომ გამოიყენება. „აქედან ირკვევა, — აღნიშნავდა იგი, — რომ ეს საშუალებები არ უნდა გამოიყენონ განურჩევლად, რომ ყოველთვის, როცა საქმე ეხება დამნაშავეისათვის სასჯელის განსაზღვრას, მათგან ზუსტი წინდახედულებით უნდა შევარჩიოთ სწორედ ის, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება ჩადენილ დანაშაულს“.<sup>8</sup>

სასჯელის განსაზღვრისას ინდივიდუალურ მიდგომას ვხვდებით ჩვენ ცნობილ რევოლუციამდელ რუს იურისტთან ნ. ტაგანცევთანაც, რომელიც წერდა, რომ „...დასჯით ღონისძიებებს უნდა ჰქონდეთ ყოველი ცალკეული ქმედობის თავისებურებების მიმართ გამოყენების თვისება. ამ თვალსაზრისით დასჯით ღონისძიებებს უნდა ჰქონდეთ დანაწილების, დაყოფის უნარი, უნდა ჰქონდეთ ინდივიდუალიზირების თვისება“.<sup>9</sup>

<sup>7</sup> იხ., მაგალითად, საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება „სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის სასჯელის გამოყენების პრაქტიკისათვის“, 1962 წ. 31 ივლისის დადგენილება „სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის სასჯელის გამოყენებისას ზოგიერთი ნაკლოვანების გამო“, 1966 წ. 26 აგვისტოს დადგენილება „დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლაში სასამართლო ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესებისათვის“. ნახ. აგრეთვე 1979 წ. 29 ივნისის დადგენილება „სასამართლოების მიერ სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისების გამოყენების პრაქტიკისათვის“.

<sup>8</sup> С. Баршев. О мере наказания. М., 1840, с. 1.

<sup>9</sup> Н. С. Таганцев, Лекции по русскому уголовному праву, Часть Общая. Вып. III, СПб., 1890, с. 1216.

ერთ-ერთი პირველი ავტორი, ვინც საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში ამ საკითხს დაწვრილებით შეეხო, იყო ა. უჩილენკო.<sup>10</sup> კვლევა-ძიება ამ სფეროში გააგრძელეს სხვა საბჭოურმა კრიმინალისტებმაც, მაგრამ დღემდე სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრობლემა არ კარგავს თავის აქტუალობას არც თეორიაში და არც სასამართლო პრაქტიკაში.

მაგალითად, საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში არ არის ერთიანი აზრი სასჯელის ინდივიდუალობის პრინციპის და მისი კრიტერიუმების საკითხზე ავტორთა უმრავლესობა<sup>11</sup> ემხრობა ი. კარპეცის მიერ ნათლად ჩამოყალიბებულ დებულებას: „სასჯელის ინდივიდუალიზაცია საბჭოურ სისხლის სამართალში — ეს არის პრინციპი, რომლის მიხედვით მხედველობაში მიიღება ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათი და ხარისხი, დამნაშავეს პიროვნება, დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებანი, პრინციპი, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს დასჯის მეშვეობით საბოლოო ანგარიშით შევძლოთ დამნაშავეს აღზრდა და გამოსწორება, აგრეთვე თავიდან ავიცილოთ ახალი დანაშაულის ჩადენა მსჯავრდებულისა და სხვების მხრიდან“.<sup>12</sup>

თითქმის ანალოგიურ განსაზღვრებას გვთავაზობენ ნ. კუზნეცოვა და ბ. კურინოვი: „სასჯელის ინდივიდუალიზაციად იწოდება სასამართლოს მიერ დამნაშავეისათვის სასჯელის კონკრეტული ზომის განსაზღვრა, რაც ხორციელდება კანონისა და მოსამართლეთა სოციალისტური მართლშეგნების საფუძველზე და ემყარება დამნაშავეისა და მისი ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს“.<sup>13</sup>

ვ. ბარტნოვსკაია, მაგალითად, სასჯელის ინდივიდუალიზაციის არსს ხედავს სასჯელის მისადაგებაში. (в приспособлении) პიროვნებისადმი, „როგორც ხერხის ყველაზე უფრო ზუსტი ზემოქმედებისა მასზე“<sup>14</sup>. მთლიანობაში მოტანილი ეს განსაზღვრებები დამარწმუნებელია. მაგრამ, იზადება კითხვა, რამდენად სრულად და ზუსტად ასახავენ ისინი გამოსაკვლევ პრინციპის შინაარსს.

სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის არსი და თვით მისი არსებობაც კი დამოკიდებულია სასჯელის სოციალურ-პოლიტიკურ შინაარსსა და მის მიზნებზე, რომლებიც მიღებულია ამა თუ იმ სამართლებრივ სისტემაში, მაგალითად, თუკი სასჯელს სახელმწიფო იყენებს მხოლოდ სამაგიეროს მიზლის იარაღად, დასჯის საშუალებად ჩადენილი დანაშაულისათვის და მას დანიშნავს დამნაშავეს პიროვნების მხედველობაში მიუღებლად, არ ისახავს

<sup>10</sup> А. А. Жижиленко, Очерки по общему учению о наказании, II — 2. 1923, с. 69—70.

<sup>11</sup> об. Браинин Я. М., Уголовный закон и его применение, М., 1976, с. 198; Загородников Н. М. Принципы Советского Социалистического права, «Сов. гос. и право», 1966, № 5, с. 73—74.

<sup>12</sup> Карпец И. И., Индивидуализация наказания в советском уголовном праве, М., 1961, с. 10.

<sup>13</sup> Кузнецова Н. Ф., Куринов Б. А., Отягчающие и смягчающие обстоятельства учитываемые при определении меры наказания В кн. Применение наказания по советскому уголовному праву. М., 1958, с. 92.

<sup>14</sup> Бартоновская В. Г., Индивидуализация наказания как одно из средств обеспечения его эффективности. В кн. Преступность и его предупреждение, Л., 1971, с. 144.



მიზნად მის გამოსწორებას და რესოციალიზაციას, მაშინ სასჯელის ინდივიდუალიზაციაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი წარმოადგენს სასჯელის გამოყენების თავისებურ გარანტიას მისი დანიშნულების შესაბამისად. ამიტომაც, მისი განსაზღვრისას უნდა დავეყრდნოთ სასჯელის სოციალურ ფუნქციებს და იმ მიზნებს, რომლებსაც ის ისახავს.

„საფუძვლებს“ მე-20 მუხლში, სადაც განსაზღვრულია სასჯელის მიზნები, ნათქვამია, რომ „სასჯელი როდია მხოლოდ დასჯა ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ მიზნად ისახავს აგრეთვე გამოსწოროს და ხელახლა აღზარდოს მსჯავრდებულნი შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, კანონთა ზუსტად შესრულების, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით, აგრეთვე აცდენილ იქნეს ახალ დანაშაულთა ჩადენა როგორც მსჯავრდებულთა, ისე სხვა პირთა მიერ.

სასჯელის მიზანი არ არის ფიზიკური ტანჯვის მიყენება ან ადამიანის ღირსების დაპყრობა“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სისხლის სამართლის სასჯელი დაენიშნება დამნაშავეს მარტო ქმედობისთვის კი არა, რაც მიზნად ისახავს დარღვეული უფლების აღდგენას სოციალურ სინამდვილეში და საზოგადოებრივ შეგნებაში დანაშაულის ჩადენით წარმოშობილი უსიამოვნო გრძნობის დაკმაყოფილებას, სასჯელი დაენიშნება მას აგრეთვე იმისათვის, რათა სისხლის-სამართლებრივი ზემოქმედების მეშვეობით შესცვალოს პიროვნებათა სოციალური თვისება, თავიდან ავიცილოთ საზოგადოებრივად საშიში ქმედებების ჩადენის შესაძლებლობა ამ დამნაშავესაგანაც და სხვებისაგანაც.<sup>15</sup>

სწორედ ის ორი მომენტი, რომ სასჯელი დაინიშნება ქმედობისათვის და პიროვნებისათვის, უნდა გვქონდეს მხედველობაში სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის განსაზღვრისას. როგორც სწორად შენიშნავდა თ. წერეთელი, სასჯელის ინდივიდუალიზაცია გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, დანაშაულის სიმძიმისა და დამნაშავეს საზოგადოებრივი საშიშროების თანაზომიერი და სამართლიანი სასჯელის დანიშვნას. ამავე დროს, აუცილებელია დამნაშავესათვის ისეთი სასჯელის დანიშვნა, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს სასჯელის მიზნების განხორციელებას.<sup>16</sup>

თუ განვიხილავთ სასჯელის ინდივიდუალიზაციის ზემოთ მოყვანილ განსაზღვრებებს მოცემული კუთხით, შეიძლება ითქვას, რომ მათში აქცენტი გადატანილია ან საქმის გარემოებებზე, რომლებიც შეეხება დანაშაულსა და დამნაშავეს (ნ. კუზნეცოვა, ბ. კურინოვი) ან სასჯელის მიზნების მიღწევაზე (ვ. ბარტნოვსკაია). ყველაზე უფრო მისაღები იმ თვალსაზრისით მაინც ი. კარპეცის განსაზღვრება ჩანს, რამდენადაც მასში არ გვხვდება აღნიშნული ცალმხრივობა; მაგრამ ამასთანავე, ჩემი აზრით, იგი საკმაო სიზუსტით არ ასახავს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის შინაარსს. ეს, უპირველეს ყოვლისა, იმაში ვლინდება, რომ ამ განსაზღვრებაში ჩამოთვლილია ყველა ის გარემოება, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას: დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათი და ხარისხი, დამნაშავეს პიროვნება, დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებანი

<sup>15</sup> იხ. Никифоров Б. С. Наказание и его цели. «Советское государства и право» 1981, №9, с. 70.

<sup>16</sup> იხ. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბ., 1976, გვ. 211—212.

და არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ ყოველივე ეს აუცილებელია სამართლიანი და მიზანშეწონილი სასჯელის დანიშვნისათვის. ერთი სიტყვით, საქმე ეხება სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის რეალიზაციის საშუალებებს და არა თვითონ ამ პრინციპს. შემდეგ, აღნიშნული გარემოებების მხედველობაში მიღება სასჯელის დანიშვნის დროს, როგორც აღნიშნავს ავტორი, მსჯავრდებულის არა მარტო გამოსწორებისა და ხელახლა აღზრდის საშუალებას გვაძლევს, ეს ხელს გვიწყობს აგრეთვე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ხსენებულ მიზანს მივადწინოთ მაქსიმალურად ეფექტური და რაციონალური საშუალებებითაც.

ზემოთქმულის საფუძველზე, სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი, ეფიქრობთ, შემდეგნაირად განისაზღვროს:

„სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი გულისხმობს მსჯავრდებულისათვის ისეთი სამართლიანი სასჯელის დანიშვნას, რომელიც შეესაბამება დანაშაულის სიმძიმესა და დამნაშავეს პიროვნებას, მოახდენს მსჯავრდებულზე ყველაზე უფრო ეფექტურ ზემოქმედებას და მაქსიმალურად შეუწყობს ხელს სასჯელის მიზნების მიღწევას“.

სასჯელის ინდივიდუალიზაციის არსის ასეთი გაგება შესაძლებლობას მოგვცემს, უპირველეს ყოვლისა, უფრო ღრმად ჩავწვდეთ მის შინაარსს, სპეციფიკას; მეორეც, ასეთ შემთხვევაში გამორიცხულია სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გაიგივების შესაძლებლობა სასჯელის დანიშვნის ზოგად საწყისებთან და ხელს შეგვიწყობს ზუსტად ვაგვიჩინოთ ერთმანეთისაგან სასჯელის ინდივიდუალიზაცია საბჭოური სისხლის სამართლის სხვა მომიჯნავე პრინციპებისაგან, როგორცაა, მაგალითად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაცია და დანაშაულის სიმძიმესთან სასჯელის პროპორციულობის, თანაზომიერების პრინციპი.

ზოგიერთი ავტორი ექვეყნეშ აყენებს სასჯელის ინდივიდუალიზაციისა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრინციპის ერთდროულად არსებობის აუცილებლობას და ამტკიცებს, რომ რამდენადაც სასჯელის ინდივიდუალიზაცია „მთლიანად სისხლის სამართალს კი არა, მის მხოლოდ ერთ ნაწილს ახასიათებს, საბჭოური სისხლის სამართლის პრინციპად მთლიანად სასჯელის ინდივიდუალიზაციის ნაცვლად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაცია უნდა ვიგულისხმოთ“<sup>17</sup>.

ამ დებულების დასაბუთება ჩვენ არ მიგვაჩნია მთლად დამარწმუნებლად, რამდენადაც არც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციას, არც სხვა რომელიმე პრინციპს არ შეუძლია დაახასიათოს მთელი სისხლის სამართალი. ეს შეუძლია მხოლოდ პრინციპების მთელ სისტემას ერთად აღებულს. თვითონ საკითხის დაყენება კი ყურადღების ღირსია. ვინაიდან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის ინსტიტუტები ერთმანეთს ენათესავენ, შეიძლება არც კი იყოს იმის აუცილებლობა, რომ შევინარჩუნოთ ორივე ეს პრინციპი სამართლის დამოუკიდებელ პრინციპებად?

მაშინ, როცა სისხლის სამართლის მეცნიერებაში არ იყო განსხვავება „სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასა“ და „სასჯელს“ შორის, როცა დასჯა გაიგივებული იყო სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან ანდა

<sup>17</sup> იხ. Поленев Г. Ф., Поленев Н. Г., О принципе индивидуализации наказания, «Известия АН Казахской ССР», Серия общественных наук, 1980, № 1, с. 66—67.





ითვლებოდა მისი რელიზაციის ერთადერთ ფორმად,<sup>18</sup> ხოლო, მეორე მხრივ, არც კანონმდებლობა და სამართალდამოყენებითი პრაქტიკა ავლენდა ზუსტ ზღვარს მათ შორის, სადასრუტით ბუნებრივი იყო, რომ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის განსხვავების საკითხი სისხლის-სამართლებრივი სასჯელის ინდივიდუალიზაციისაგან არ დგებოდა.

